საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა 13 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 131 — ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. — № 131

მიხეილ, აკაკი, ლუკა, პეტრე, ნეონილა და მარიამ ჩხენკელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფას მამის

## დეკანოზ იოანე ჩხენკელის

გარდაცვალებას. წირვა და ანდერძი გადახდილ იქნება ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, დღეს, 13 ივნისს, ხოლო საღამოს (დღესვე) 6 საათზე. პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს გაასვენებენ სადგურისაკენ. ორშაბათს, 14 ივნისს დანიშნულია წირვა და პანაშვიდი ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, სამშაბათს წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ხონში წმინდა გიორგის ეკლესიაში, ამ ეკლესიის გალავანში მოხდება იმავ საღამოს დაკრძალვა.

ექიმის **ირაკლი როსტომის ძის სურგულაძის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, კვირას 13 ივნისს განსვენებულის საფლავზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში 12 ს. იქნება გადახდილი პანაშვიდი და ამავე დღეს გურიაში სოფ. გომახურში წმ. გიორგის ეკლესიაში, რასაც აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს განსვენებულის ძმა პეტრე სურგულაძე. (1867 2—2)

ფოთის კომიტეტი საქ. ს. დ. მუშათა პარტიისა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ძველი პარტიული მუშაკის ამხანაგ

## ერმალოზ ცხადაიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ფოთში 13 ივნისს. (1885 1—1)

## განცხადება
## შრომის სამინისტროს სოციალურ დახმარებისა

ყველა იმ პირთ, რომელთაც წარმოდგენილი აქვთ თხოვნები სოციალურ დახმარებისათვის, უსათუოდ უნდა წარმოადგინონ მოწმობა სიღარიბისა და ნამსახურობის შესახებ.

**შრომის სამინისტრო.** (ნ. 5—1)

საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა დაამზადა

## ნ. ჟორდანიას ლითოგრაფიული სურათი

სუფთათ და ხელოვნურათ კარგ ქაღალდზე ზომით 16—13. ყველა მსურველთ, როგორც პარტიულ ორგანიზაციებს, ისე კერძო პირებს და საზოგადო დაწესებულებებს სურათი შეუძლიათ შეიძინონ ხელმისაწვდომ ფასებში თფილისის კომიტეტში, ერთობის ქ. № 4.

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევში რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

## სახალხო სეირნობა

კვირას, 13 ივნისს **დედათა და ბავშვთა დაცვის საზ.** მართავს

## ალექსანდრეს ბაღში სეირნობას

ლატარეია-ალეგრით, რომლის მთელი შემოსავალი გადაიდება ომში დაღუპულ გვარდიელების და ჯარისკაცების სასარგებლოთ. სეირნობის პროგრამა: 1) ლატარეია-ალეგრა, 2) ბავშვების თამაშობა დილის 11—$1^1/_2$ ს. და საღამოს 4—7 ს. ხელმძღვანელობას გაუწევენ „ბავშვთა სახლის“ ხელმძღვანელები. 3) კარუსელი, პტი-შვო, ცეკვა, აზიური და ევროპიული, ჭიდაობა, სიმღერა და სხვა. დუროვი გამოვა გაწვრთნილი პირუტყვებით, 4) ბუფეტი ცივი სასმელებით და ცივი საუზმით. ყვავილები, კონფეტები. 5) ორი ორკესტრი, ზურნა, შარმანკა. სეირნობის დიასახლისი ო. ა. ავალიანი და ო. ს. დოლიძე. პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ს. ი. დოლიძე. (1866—2—2)

## არტისტიული საზოგადოების თეატრი

კვირას 13 ივნისს, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს 10 წლ. არსებობის აღსანიშნავად გაიმართება

## საზეიმო საღამო

1. პროფ. **ს. ავალიანი** სიტყვა: **ხელოვნე ის აღორძინება.**
2. **ალების ცეკვა** — დრამატიული ეტიუდი 1 სურ. იოსებ იმედაშვილისა.
3. **რედაქციაში** — შარჟი 1 სურ. სვ. წერეთლისა. მონაწ. ქ-ნი ე. ივერიელი, ავალიანი, ნ. წერეთელი. ბ-ნი ვ. მატარაძე, ნ. რიჟამაძე, ილორელი, გიგოშვილი, ორჯონიკიძე, ს. წერეთელი. პიესებს დასდგამს მსახიობი ვ. მატარაძე.
4. **პოეზია** — ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე, დ. ახვლედიანი, ს. ერთაწმინდელი, ქანქათელი და სხვ. ა. ავალიანი და ნ. რიჟამაძე წაიკითხავენ ქართ. კლასიკების ლექსებს.
5. **მუსიკა** — დუეტებს და არიებს ქართულ ოპერებიდან შეასრულებენ მომღერლები: ქ-ნი ნ. ფავლენიშვილისა ბ-ნი დ. აკოფაშვილი, ორჯონიკიძე და სხ. **დები თარხნიშვილების** მომღერალთა გუნდი შეასრულებს ძველ ქართლ-კახურ ეროვნულ სიმღერებს. მოცეკვავე: ნინო წერეთელი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში 10—2 ს. 5—8 ს. თარი —მ. დევაძე. გამგე ვ. ავალიანი. როიალთან—გოლდმანისა. დასაწყისი სრულ 8 საათზე. (2—1)

## სიღნაღის სამაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობის

პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ ამა წლის 30 ივნისს (ახ. სტ.) მოწვეულია ქ. **სიღნაღში,** საერობო გამგეობის ბინაზე სამაზრო საერობო

## ხმოსანთა მე-4 ყრილობა

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საერობო გამგეობისა, წარსული წლის მოქმედების შესახებ. 2) 1920 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 3) ლაგოდეხის უბნის მომრიგებელ მოსამართლის არჩევა. 4) თანახმად 2 ივლისის 1919 წლის კანონისა, უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევის შესახებ. 5) საერობო გამგეობის წევრთა, ი. ზ. კრაწაშვილის და ს. დ. ნატროშვილის განცხადებანი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. 6) მიმდინარე საკითხები. პრეზიდიუმი სთხოვს ყველა ხმოსანს უეჭველად დაესწრნენ ყრილობას.

**პრეზიდიუმი.** (ნ. 5—4)

## რაჟდენ გვეტაძე
## დაბინდული ქარვები

ლექსები ოთხ წიგნათ
პორტრეტი—ნახატი დ. წერეთლისა.
ფასი წიგნისა ასი მანეთი.
გამოცემა ილ. ფარულის საფასით.
წიგნი გამოვიდა ქუთაისში. (1883—1—1)

## კოსმოსი და ამხანაგობა
## The Kosmos Frading K° Limited London.

თფილისი, სომხის ბაზარი, მანთაშევის ქარვასლა

## დიდი ამორჩევა მანუფაქტურისა

დამზადებული კაცის კასტიუმებისა, პალტოებისა, ძაფებისა, თასმებისა და სხვა.

## დიდი ამორჩევა რკინეულობის საქონლისა:

სახელოსნო და სამურლო ფოლადისა, ქლიბებისა, გასაღებებისა, ჩამოსაკიდი და ყუთების კლიტეებისა, რგვალი, ლენტისა და ყოველგვარი ხერხებისა, ტყავის „ლინკონო“ და „ბოლატა“-ს რემნები ყველა ზომისა, რემნების შესაკერი, ბოქლომები, მაღაროში სახმარი ნიჩბები, ნაფტალინი, ლაქი ფეხსაცმელების და სხვა. ყველა საქონელი ინგლისური ნაწარმოებია. ამ დღეებში მოველით სხვადასხვა საქონლის ახალ პარტიას, ვაჭრობა სწარმოებს ბითუმათ. **ამხ. „ანგლოკოვის“ წარმომადგენლები.** (1817—4—2)

## ნოე ჟორდანიას
**თხზულებებზე ხელის მომწერთა საყურადღებოდ.**

ამ ერთ კვირაში გამოვა და დაურიგდება ხელის მომწერთ „ნოე ნიკოლოზის ძის ჟორდანიას“ თხზულებათა **პირველი ტომი.** უმორჩილესად ვსთხოვთ ხელის მომწერთ—დააჩქარონ ფულისა და ადრესის გამოგზავნა, ვინაიდან ხელის მოწერა შეიძლება შეწყვეტილ იქმნეს მოკლე მომავალში.

ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის გამომცემლობა.
თფილისი, რუსთ. პრ., № 26. (1888—1—1)

**ქართული კლუბი**

## დაეხმარეთ თავისუფლებისათვის მებრძოლთ

**ოთხშაბათს, 16 ივნისს**

დაეხმარეთ ფრონტს — საქართველოს ჯარისკაცებს

ქ. თფილისის საკომენდანტო სამმართველოს ინიციატივით გაიმართება ფრონტის სასარგებლოთ საუკეთესო ძალთა მონაწილეობით

დიდი საზეიმო საღამო-კონცერტი

მონაწილეობენ: ალეშკო, ვოლ-ლევიცკისა, გლაზო, კალანდაძე-აგასოვისა, პერეგონეცი, წერეთელი თამარა, ზალიპსკი, ინაშვილი, ისეცკი, ნანობაშვილი, პოლიაევი, სარაჯიშვილი, დუეტი სეკრეინსკითა. როიალთან ბ. ა. პროზოროვსკი და ჟ. ფალიაშვილი.

## ბაღში დიდი
## სეირნობა

მრავალი გართობა გაგრძელდება ღამის 3 საათამდე. ბაღში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი სლუცკის მეთაურობით და სამხედრო ორკესტრი. კონფერანსიე პაოლო იაშვილი. დიასახლისები: მ. კ. რამიშვილისა და მ. ს. ჩხენკელი. საღამოს პასუხისმგებელნი: კომენდანტის შტაბის ოფიცერი პოლკ. სუმბათაშვილი და უფროსი ადიუტანტი კაპიტანი ქარცივაძე. დასაწყისი სეირნობისა 7 საათზე, კონცერტისა საღ. 9 ს. ბილეთები კლუბის თეატრის კასაში. კლუბში შესვლა საზოგადო წესით. (უ. 1—1)

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ საზოგადოების საწყობებიდან ყოველგვარი ქონება თავისუფლად იყიდება და მოსალოდნელია ზოგიერთი საქონელი კერძო პირებმა შეისყიდონ სავსებით და სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათათვის აღარ დარჩეს მათთვის საჭირო საგნები. ამიტომ გამგეობა აფრთხილებს აღნიშნულ დაწესებულებათ მათთვის საჭირო საგნები იყიდონ დაჩქარებით. ქონება იყიდება განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებულ გადაჭრილ ფასებში; დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ გამგეობის წევრის ი. მ. ჩიქოვანისაგან ყოველ დღე, 11 საათიდან—1-მდე (რესპუბლიკის ყოფილი პეტრე დიდის ქ. № 8). (ნ. 2—1)

## მუშათა სტოლი

აცხადებს, რომ ყველა პურის რწმუნებები 15 ივნისამდე უნდა იქნეს წარმოდგენილი მუშათა სტოლის კანცელარიაში. ვინც ამ ხნის განმავლობაში რწმუნებებს არ წარმოადგენს, გაუქმებულათ ჩაითვლება.

**მუშათა სტოლი.** (ნ. 1—1)

## საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების
## მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 20 ივნისს დილის 11 ს. დანიშნულია წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა

## წლიური კრება

საბებიო ინსტიტუტის შენობაში (26 მაისის ქ., ყოფილ ოლღას ქ.). დღის წესრიგი: 1) წლიური მოხსენება მთავარ სამმართველოს მოქმედების შესახებ. 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 3) 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება. 4) წესდების ზოგიერთ მუხლის შესწორება. 5) მთავარ სამმართველოს დამატებით წევრთა და კანდიდატთა არჩევნები. თუ დანიშნულ დროს კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვთა გამოუცხადებლობის გამო, განმეორებითი კრება მოხდება ერთი საათის შემდეგ, რომელიც თანახმათ წესდების 70 პარაგრაფისა კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. (1887—2—1)

## გზათა ტეხნიკოსის
## ხარისხის მისაღებად გამოცდები

დაიწყება 22 ივნისს დილის 10 საათზე თფილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (დიდი მთავრის ქ., № 70) მსურველებმა გამოცდებზე დაშვების უფლება უნდა მიიღონ გზათა დეპარტამენტიდან, სადაც უნდა წარადგინონ მოწმობა სასწავლებლის გათავების და საბუთები პრაქტიკულ მუშაობის შესახებ, თავმჯდომარის სახელზე შემოტანილ უნდა იქნეს თხოვნა, გზათა დეპარტამენტის ნებართვა და გამოცდებისთვის დაწესებული გადასახადი.

გამომცდელი კომისიის თავმჯდომარე ინჟ. **ვ. კაკაბაძე.**

## პარტიული ყრილობის გახსნის გამო

დღეს უნდა გაიხსნას ჩვენი პარტიის ყრილობა. დიდი კითხვებია წესრიგში. ამ კითხვების ასე თუ ისე გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ჩვენი დემოკრატიის და მთელი ჩვენი ქვეყნის ბედიღბალი. მმართველი პარტია ამ ყრილობის დღეებში გადახედავს თავის ნაკეთებს და გაითვალისწინებს საკეთებელს. გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ შემოგვყურებს დღეს არა მარტო ქართველი მშრომელი ხალხი და საზოგადოთ ქართველი ერი, ჩვენსკენ თვალი უჭირავს რუსეთის დასავლეთ ევროპის და ახლო მეზობლების დემოკრატიასაც.

ამ ქვეყნებს ჯერ კიდევ გასავლელი აქვთ ის გზა, რომელიც გაიარა საქართველომ. იქ არსად არ არის განხორციელებული დემოკრატიული დიქტატურა. რუსეთში მეფობს ბალშევიზმი, რომელიც მეგობრულ სალამს უგზავნის ოსმალეთის რეაქციას და კეთილ-მეზობლურ განწყობილებას აპირებს ევროპის იმპერიალიზმთან. ეს იმპერიალიზმი ცდილობს დემოკრატიული სახით არსებობას და დიდი რევოლიუციის თავიდან აცდენას. აღმოსავლეთის რეაქციონური ძალები ხან ბალშევიკებს ურიგდებიან, ხან ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს. არსად, არც ერთ ამ ქვეყანაში ჯერ არ სჩანს მძლავრი სოციალისტური მოძრაობა, ძლიერი სოციალისტური პარტია. მმართველი წრეები ყველგან განაგებენ ისე, რომ სავსებით არსად არ ემყარებიან თვითმართველობის საძირკველზე.

საქართველოშია მარტო ეს საძირკველი. არ ვიტყვით, რომ სრულიად უნაკლულოა ის შენობა, რომელიც დგას ამ საძირკველზე. ყრილობამ უნდა გასინჯოს მისი შემადგენელი ნაწილები, მისი სიმაგრეები და მიუმატოს, რაც აკლია, კიდევ უფრო გაამაგროს, გააუკეთესოს.

კარგათ ვიცით, რომ ვერც ერთი სიმაგრე ვერ გასძლებს ამ ერთ ქვეყანაში, თუ სხვა ქვეყნებშიაც ბოლო არ მოეღოთ დამრღვეველ ძალებს, თუ კბილი არ მოსტყდა ევროპის იმპერიალიზმს, რუსეთის ბალშევიზმს, აზიის ფეოდალურ რეაქციას, თუ იქ ყველგან მშრომელი ხალხი არ წავიდა იმ გზით, რომლითაც მივდივართ ჩვენ. აქამდის ყველა იმ ქვეყნებში, მეტადრე რუსეთში და ახლო აღმოსავლეთში მშრომელი ხალხი მიჰყვება ტალღებს, მისი ნავი ცურავს მდინარის მიყოლით. მარტო საქართველო არ გაჰყვა ამ მიმდინარეობას, ის წავიდა ტალღების გადალახვით მდინარის მიმართულების წინააღმდეგ. ეს ერთად ერთი მხარეა, რომელიც თავიდანვე, მარტო შინაური ძალების იმედს იკავებდა, მოკავშირეს სხვაგან არაფრად ეძებდა, მხსნელს გარედან არ ელოდა.

ერთი მეორის მოწინააღმდეგე ძალები გვყავს გარეშემო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დაგვიკავშირდება ჩვენ მეგობრულათ. შეიძლება იმპერიალისტური ინგლისი უარჰყოფს ბალშევიკურ რუსეთს, შეიძლება აღმოსავლეთის მთავრობები არასოდეს არ შეურიგდენ ინგლისის მმართველ წრეებს, ცხადია მხოლოდ, რომ ჩვენი დემოკრატიული წესწყობილება მიუღებელია დღეს ერთისთვისაც. მეორისთვისაც და მესამესთვისაც. აქაური დემოკრატიის წინააღმდეგ ერთმანეთის მჭამელი მთავრობები ადვილათ იპოვნიან საერთო ენას.

ჩვენი პარტია მეგობარს ეძებდა და ეძებს საერთაშორისო მშრომელ ხალხში. ჩვენ ეროვნულ მუშაობას ყოველთვის ჰქონდა ისეთი ხასიათი, რომელიც მისაღებია მთელი ქვეყნის დემოკრატიისთვის. მაგრამ ეს დემოკრატია მხოლოდ მაშინ დაგვიკავშირდება და გაგვიწევს თანამშრომლობას, როცა დაინახავს ჩვენ შინაურ სიმტკიცეს, როცა დარწმუნდება, რომ ჩვენ გავამართლეთ ჩვენი გზა.

ყრილობამ უნდა მოგვცეს ამისთანა სიმტკიცის იარაღი.

არ შეიძლება, ერთნაირათ აზროვნობა. არ შეიძლება რომ ამ აზროვნების ხაზი მიიმართებოდეს მარტო ერთი კუთხისკენ, არუხვევდეს არც მარჯვნივ, არც მარცხნივ. აზრთა სხვადასხვაობა არის, იქნება და უნდა იყოს. ის რომ მოისპოს, პარტიაც მოისპობა. ჩვენ პარტიას არ მოელის ეს საფრთხე. ყრილობაზე დავინახავთ, რომ სხვადასხვა ამხანაგები სხვადასხვანაირათ ეხებიან გადასაჭრელ კითხვებს, თვითეული მათგანი კი მსურველი იქნება ყოველი კითხვის სინდისიერათ და საფუძვლიანათ გადაჭრის. მოწინააღმდეგე აზრების შეჯახება, ეს იქნება აზროვნული შრომის განაწილება, ეს იქნება ჩვენი გამაგრების და არა დაუძლურების იარაღი. აზრთა სხვადასხვაობა გაამტკიცებს ერთსულოვნებას ჩვენი პარტიის წრეებში.

მეტათ რთული თანამედროვე მომენტი მოითხოვს ჩვენგან ამ ერთსულოვნებას, და ჩვენი პარტიული ყრილობა ღირსეულათ შეხვდება ამ მოთხოვნას.

## საპარლამენტო არჩევნები გერმანიაში

გერმანიის რეიხსტაგში (პარლამენტში) არჩევნები დასრულდა. ჩვენ გვაქვს დაახლოვებითი ცნობა მისი შედეგების. ყველაზე უფრო დამახასიათებელი ის არის, რომ ამ არჩევნებში უდიდესი გამარჯვება ერგო დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატებს, ხოლო სასტიკად დამარცხდენ კომუნისტები. დღემდის არსებულ ნაციონალურ საბჭოში (დამფუძნებელი კრება), რომელიც არჩეული იყო იმავე წესით, როგორც ახლა მოხდა არჩევნები, დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებს ყავდათ ოცი დეპუტატი. კომუნისტები მაშინ არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდენ ლენინის რჩევით და მისი ლოცვა-კურთხევით. დღევანდელ არჩევნებში მათ იმავე ლენინის რჩევით მონაწილეობა მიიღეს და გაიყვანეს ორი დეპუტატი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ანარქისტ-კომუნისტებს (ყოფილ ბალშევიკების ამხანაგებს) მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, ისინიც გაიყვანდენ ორ-სამ დეპუტატს. თუ მივიღებთ მხედველობაში გერმანიის ხალხის შეგნებას და მის პოლიტიკურ მომზადებას, ამასთან ერთად პარტიების ფართო აგიტაციას არჩევნების დროს, ჩვენ შეგვიძლიან გადაჭრით ვსთქვათ, რომ გერმანიის მუშებს ზურგი შეუქცევიათ კომუნისტურ პარტიისთვის.

დანარჩენ ყველა პარტიების გავლენა შესუსტებულია. დაუკარგავს ადგილები სოციალდემოკრატ მეუმრავლესეებს (შეიდემანის პარტიას). თუ არ ვცდებით, ამ პარტიას ყავდა დამფუძნებელ კრებაში ას ორმოცი დეპუტატი. დღეს გაუყვანიათ ას დეპუტატამდის. მათი დამარცხება უმთავრესად აიხსნება ორი მიზეზით. პირველი არის ვერსალის ხელშეკრულობა, რომლის პასუხისმგებლობა მიიღო ამ პარტიამ და რომელიც დღემდის სულს უხუთავს გერმანიის ხალხს. ფართო მასაში უსათუოდ ერთნაირ არა პოპულიარობას მოიპოვებდა ის პარტია, რომელიც ასეთ არა ხელსაყრელ პირობებში განაგებდა გერმანიის რესპუბლიკას. მეორე მიზეზი არის ეგრედწოდებულ „ნოსკეს პოლიტიკა“. სამხედრო მინისტრი ნოსკე უფრო ეყრდნობოდა მემარჯვენე ელემენტებს და მათი შეწევნით სურდა რესპუბლიკის განმტკიცება. ამან ხელი შეუწყო კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყებას. ეკონომიურ პოლიტიკაში მეუმრავლესეები ფართო რეფორმის გზას არ ადგენ. მათ პარტიაში ფაქტიურათ გაბატონდა ცნობილი გერმანიის რევიზიონისტები (გეინე, დავიდი და სხ.), რომელთა რევოლიუციონური და სოციალისტური აზროვნება ყოველთვის ეჭვს იწვევდა მთელს ინტერნაციონალში.

მიუხედავად ამისა, ეს არჩევნები გვიმტკიცებს, რომ გერმანიის ხალხის დაახლოვებით ნახევარმა ნაწილმა სოციალიზმს მისცა ხმა. ეს ჩვენ გვაძლევს სრულ საბუთს გადაჭრით ვთქვათ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა სამუდამოდ უზრუნველყოფილია ყოველივე კონტრ-რევოლიუციონურ გადატრიალებისაგან.

**ბ. თექლათელი.**

## პრესა

ჩვენებურ კომუნისტების ბანაკში ყველაფერი რიგზე არ არის. „კომუნისტის“ პირველ ნომრებში აშკარად სჩანდა, რომ ბალშევიკებისათვის სრულიად უჩვეულო და ძნელი ასატანია ის ახალი როლი, რომელშიაც ჩააყენა ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობამ მოსკოვის მიერ. ეს სიძნელე და უხერხულობა პირდაპირ აღიარებულია „კომუნისტი“-ს უკანასკნელ ნომერში:

„ჩვენი მდგომარეობა მეტათ უჩვეულოა და მისი გარკვევა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ჩვენ ჯერ კიდევ გუშინ რუსეთის კომუნისტური პარტიის განუყრელი ნაწილი ვიყავით, დღეს კი საქართველოს კომუნისტურ პარტიათ გადავიქეცით. ეს ფაქტი ლოღიკურათ არ გამომდინარეობს მთელი ჩვენი წინანდელი მოქმედებიდან, რადგან ჩვენში არავითარ გათიშვის ტენდენციებს არასოდეს არ ქონია ადგილი. ეს ფაქტი ჩვენ მოგვევლინა როგორც ერთი შედეგი საერთაშორისო ძალთა ახალი ურთიერთობისა, რომლის დამყარებაში ერთ აქტიურ ძალათ საბჭოთა რუსეთი გამოდიოდა“.

როგორი ხაზი უნდა აიღოს კომუნისტურმა პარტიამ ამ წინააღმდეგობით სავსე მდგომარეობაში? „კომუნისტის“ პირველ ნომრებს აშკარათ ემჩნეოდა, რომ მიუხედავათ დამოუკიდებლობის ცნობისა, ბალშევიკები მაინც განაგრძობენ ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლას. გაიხსენეთ სახელოვანი შენიშვნა „საეჭვო დოკუმენტის“ შესახებ, რომელიც აღერბეიჯანიდან შემოსეულ მტრის გასამხნევებლათ იყო დაწერილი.

„კომუნისტის“ უკანასკნელ ნომერს ამ მხრივ რყევა დასტყობია: იგი ლოია-

# დღეს

**ბალშევიკების ცნობით მდ. ბერეზინაზე საბჭოთა ჯარმა შეაჩერა პოლონელების ცდა შეტევაზე გადასვლისა. ყირიმის რაიონში—პერეკოპისა და სივაშის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება.**

**გენ. ვრანგელმა ტამანის ნახევარ კუნძულზე დესანტი გადასხა. დესანტი უმთავრესად დონის და ყუბანის ყაზახებისაგან შესდგება.**

**დაღესტანის მუსულმანებში საბჭოთა მთავრობის საწინაალმდეგო მოძრაობა იზრდება, ბაქოსა და პეტროვსკს შორის რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილია. ამ რაიონში აჯანყებულების მიერ გარშემორტყმულია საბჭოთა ერთი დივიზია.**

---

**ჩვენი გენერალური შტაბის ცნობა, გუშინ 12 ივნისს, არ მიგვიღია.**

ლური პოზიციის დაჭერას გვპირდება:

„საქართველო სახელმწიფოებრივ ერთეულათ არის აღიარებული. რამდენათ უფრო ჩქარა მის საზღვრებიდან საბოლოოთ განიდევნება საერთაშორისო იმპერიალიზმის გავლენა და მოქმედება, იმდენათ უფრო განმტკიცდება და გამაგრდება ის რევოლიუციონური პროცესი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით სწარმოებს. სრულიათ ბუნებრივია, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ აღიარებული საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენს პარტიაში პოვებს მედგარ დამცველს იმპერიალისტთა თავდასხმის წინაალმდეგ.

„იმპერიალიზმის“ ქვეშ „კომუნისტი“ აქ გულისხმობს მხოლოდ ევროპის სახელმწიფოებს.. ამას გვიმტკიცებს შემდეგი სიტყვები:

„აქ სადაო არაფერია, რადგან იგი სავსებით ეთანხმება მთელ ჩვენს წინანდელ მოქმედებას“.

მადლობელი ვართ, რომ თქვენს განათლებულ მფარველობას არ გვაკლებთ იმპერიალისტების წინაალმდეგ. მაგრამ რა აზრის ხართ საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმზე? როგორ მოიქცევით, მან რომ მოინდომოს ისეთისავე ძალადობის ჩადენა, რომელსაც თქვენ იმპერიალიზმათ ნათლავთ?

საბჭოთა რუსეთზე „კომუნისტი“ სდუმს. სამაგიეროთ იგი ლოიალობას და დახმარებას აღგვითქვამს სხვა თავდამსხმელთა წინაალმდეგ ბრძოლაში:

„მაგრამ ეს არ კმარა. მთელი საზავო ხელშეკრულებაც, რამდენათაც იგი საქართველოს აყალიბებს საერთაშორისო სფეროში, როგორც სახელმწიფოებრივ სხეულს და ქმნის მის ნამდვილ დამოუკიდებლობას, უეჭველათ სავალდებულოა ჩვენთვის. აქედან ცხადია, რომ ჩვენ წინაალმდეგი უნდა ვიქნეთ ყოველივე იმის, რაც ასუსტებს საქართველოს საერთაშორისო, თუმც პატარა, მაგრამ მაინც საყურადღებო ძალას; ჩვენ წინაალმდეგი უნდა ვიქნეთ საქართველოს საზარალოთ მომართულ ფრონტებისა და უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს მათი ლიკვიდაცია. ეს უკვე ახალი პოზიციაა, რომელიც დღემდის სრულიად უჩვეულო იყო“.

„კომუნისტის“ ამ განცხადებიდან ჩვენ ნება გვაქვს უფრო კონკრეტიული დასკვნა გამოვიტანოთ და მოვითხოვოთ მათგან, რომ მათ დახმარება გაუწიონ ჩვენს რესპუბლიკას მის დასანგრევათ მომართულ მტერთან ბრძოლაში და **„მოახდინონ ლიკვიდაცია“ ოსეთის და ადერბეიჯანის ფრონტებისა.** იმედია მოკლე ხანში მივიღებთ „კომუნისტის“ კონკრეტიულს აზრს ამ ფრონტების შესახებ.

„კომუნისტი“ არ მალავს, რომ ასეთი ლოიალური პოზიცია წინაალმდეგობით არის სავსე:

„ჩვენ უნდა გარკვევით აღვნიშნოთ ის წინაალმდეგობა, რომელიც ამ პოზიციიდან გამომდინარეობს. ჩვენ ვიცავთ საქართველოს, თუმცა იგი არ არის ჯერ პროლეტარიატის სამშობლო, როგორც ეს ჩვენ გვესმის! ჩვენ ვიცავთ იმ სახელმწიფოს, სადაც ჩვენ სრულუფლებიან მოქალაქეებადაც არა ვართ ცნობილი, სადაც ჩვენი ლეგალური მოქმედება ბეწვზე კიდია; ჩვენ ვიცავთ იმ ძალას, რომელიც ჩვენს წინაალმდეგ არის მომართული,—მაშასადამე, ჩვენ ვმოქმედობთ ჩვენი ინტერესების საწინაალმდეგოთ“.

მიუხედავათ მდგომარეობის ამნაირი სიძნელისა, განაგრძობს „კომუნისტი“:

„შექმნილი მდგომარეობა თავისი წინაალმდეგობით სასარგებლოა საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობისთვის და ჩვენ, როგორც მისი ერთი რაზმი, უნდა შეურიგდეთ და შევეთანხმოთ ამ მდგომარეობას, თუნდაც მისი ერთი მხარე მომართული იყოს ჩვენს წინაალმდეგ, როგორც ადგილობრივი მუშაკებისა. კოლიზია ადგილობრივ და საერთაშორისო ინტერესებს შორის შექმნილია მეტის მეტათ გართულებულ თანამედროვე პირობების მიერ და ჩვენ უნდა შევსძლოთ მისი ყოველმხრივათ გარკვევა, რომ რაიმე უკიდურესობაში არ გადავცვივდეთ.

ჩვენ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში საერთაშორისო ანუ საგარეო-მნიშვნელობის საქმე საშინაო საქმესთან. ხელშეკრულობის ძალით საბჭოთა რუსეთი არ ერევა საქართველოს შინაურ საქმეში; ჩვენ კი, პირიქით, მთელი ძალღონით უნდა ჩავერიოთ ამ საქმეებში და ვეცადოთ შექმნილი ძალთა ურთიერთობა ჩვენს სასარგებლოთ შევცვალოთ“.

რასაკვირველია, ჩვენებურ კომუნისტებს არავინ წაართმევს იმის უფლებას, რომ, როგორც საქართველოს მოქალაქეებმა, ჩვენი რესპუბლიკის შინაურ საქმეებში მიიღონ მონაწილეობა თავის გავლენის გასაძლიერებლად. ჩვენთის დიდი იდეური გამარჯვებაა ის, რომ კომუნისტები გვპირდებიან ლოიალურ მოქალაქეების პოზიციაზე დგომას და რესპუბლიკის მოღალატეობაზე ხელის აღებას.

# წერილები ფრონტიდან

წერილი მეორე.

მხოლოდ მონაწილეს შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რა ტანჯვით გათენდა 12 მაისი ყაზახის მაზრის საზღვრებთან. მთელი ღამე გამუდმებით წვიმდა, ჯარს კი ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული ტილოს კარვები. დილა ისეთი ბურუსიანი იყო, რომ 20—30 საჟენს იქით ვერაფერს დაინახავდით.

5 საათი არ შესრულებულიყო, რომ ბაბაკიარზე მყოფი გარე-კახელები ზარბაზნის ხმაზე წამოიჭრენ. ეს ჩვენი მარცხენა კოლონაა, ის უკვე შეუდგა საქმეს. ყველანი დაფაცურდნენ. უფროსმა განკარგულება გასცა მტრისკენ მდებარე უკანასკნელ მაღლობზე გადასულიყო ყველა გუნდები. წითელ ხიდთან ომი თანდათან გაფართოებულ ხასიათს იღებს, უფრო და უფრო დაჟინებით გრგვინავს ზარბაზნები ორივე მხრიდან, უფრო და უფრო გრუხუნებს ტყვიისმფრქვეველები, უფრო და უფრო ჭექავენ თოფები. და ყველა ეს ჩვენ გვესმის, თვალები კი ახვეული გვაქვს ღრუბლებით. ამაზე უფრო ის გვაჯავრებს, რომ დანიშნულებისამებრ შორაპნელები ვერ მიდიან იქით, სადაც ამხანაგები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულან.

ვიცადეთ ერთი, ორი, ათი, ოცი წუთი... „ეჰ, წავიდეთ, რას ვუცდით, ჩვენ მაინც წავიდეთ“!—გაისმის გვარდიელებში. „იქნებ შორაპნელები გვერდზე გაყვნენ იქითკენ და ამ ბურუსში ვერ ვამჩნევთ, წავიდეთ!—გაიძახიან მეორე მხრით. და უფროსმაც გასცა ბრძანება „წინ“,,,

მივდივართ ნელა. მივყვებით სროლის ხმას. ტყვიის მფრქვეველთა ხმაზე ასე თუ ისე ვერკვევით, ვინ საით და რა ადგილას დგას. და ასე მივადექით მებრძოლ მხარეებს. ის იყო ვშინჯავდით მოყვარე მტერში რომ არ ავვერია, რომ ქარმა ღრუბლების ზეწარი უცბათ მოგვხადა და ჩვენც შეგვამჩნიეს. და შეგვამჩნიეს არა მათ, ვისაც ჩვენ მივადექით, არამედ—ჩვენ გვერდით (აღმოსავლეთით) საგანგებოთ ჩასაფრებულმა ნაწილმა, რომელიც ღელეს გაღმა შესანიშნავ სტრატეგიულ გრძელ მაღლობზე გამაგრებულიყო.

ამიტომ ხელი ავიღეთ აღებულ მიმართულებაზე და ფრონტის აღმოსავლეთისაკენ მიბრუნება დავაჩქარეთ. ჩვენი მდგომარეობა უარესი იყო მტერთან შედარებით. გარდა იმისა, რომ ჩვენ დაბლობში ჩასული ვიდექით, ხოლო მტერი მაღლობზე იდგა, რიცხვითაც ძლიერ ცოტა ვიყავით, შორაპნელები არსად სჩანდენ. ჩვენ ძლივს მოვასწარით პატარა ამურებულში ადგილზე წაწოლა, რომ მტერმა ცეცხლი გააჩინა, კახელებიც არ ჩამორჩენ და გახურდა ჰაერი. პირველ გასროლისათანავე დაიჭრა რამდენიმე გვარდიელი. მტრის პოზიციების უპირატესობა უცბათ ყველასათვის ცხადი შეიქნა და დააფიქრა. რა ვქნათ? აქ ხერხი აჯობებს ღონესა, ფიქრობდენ ხელმძღვანელები. უშიშარმა კევლიშვილმა სთხოვა უფროსს გაეშვა ის ერთი გუნდით პირდაპირ იერიშზე. „მე ავეჭრები მტერს აი იმ ადგილს და შუა გაუწყვეტ ხაზს, არევ-დარევას შევიტან“-ო, მაგრამ უფროსი ვერ თანხმდება: თუ მაშველი ბატალიონი არ მოვიდა, ამ ძალით იერიში არ შეიძლებაო. ხშირად ვიცქირებით უკან მაგრამ ჩვენ მიერ დატოვებული მთა ისევ ღრუბლებშია გახვეული. მტერს კი თანდათან ემატება ძალები.

„აგერ მთიდან მაშველი ჩამოდის!“ დაიძახა ვილამაც და უკან მოვიხედეთ. პრუსეცკი ცოტა იჭვიანათ იცქირებოდა მთისაკენ და ჩვენ სიხარულს არ იზიარებდა. ის ერთხელ კიდევ დააკვირდა იქით ბინოკლით და აღელვებული ხმით წამოიძახა: „მოვსტყუვდით, ჩვენ უკან თათრები დაგვრჩენია, ალყას გვარტყამენო. მართლაც, მომავალი ნაწილი სულ არ ჰგავდა შორაპნელებს თავის რუხი ფერით. შორაპნელებს მოწითლო ბუშლატები ეცვათ. მე საჩქაროთ გავხედე ბინოკლით და შევყვირე: თფილისელებია, თფილისელები! ვაშა თფილისელებს! ზოგი კიდევ ეჭვიანობდა, მაგრამ უკან სერზე მდგარმა ჩვენმა ჩამორჩენილებმა ხმა მიაწვდინეს და გაგვაგებინეს.

პრუსეცკიმ მაშინვე გაგზავნა თფილისელებთან ერთი გვარდიელი და შეუთვალა, რომ ერთი გუნდი ჩვენ მარჯვნით ჩამოეყვანა ბრძოლის ხაზის გასამაგრებლათ, ხოლო დანარჩენი ორი მარცხნით წამოეყვანა. ახლა კი დრო იყო ნაწილობრივი იერიშისა და ერთ გუნდს ებრძანა მაღლობზე აცოცება. ამ გუნდს უკვე ეჭირა შესაფერი ადგილი საიერიშოთ, საჭირო იყო ეს ადგილი მეორე გუნდს დაეჭირა ზურგის გასამაგრებლათ, მაგრამ ამ ადგილამდე გასვლა საძნელო იყო: ამოფარებული გუნდი საფრიდან ტიალი გზით უნდა გადასულიყო იქ. გუნდს ებრძანა სათითაოდ და ხშირათ ფორთხვით გადაერბინა ეს მოკლე (100 საჟენი იქნებოდა), მაგრამ საშიშარი გზა. ჯერ კიდევ ნახევარი გუნდი არ იყო გაკრეფილი, რომ მტერმა მთელი ხაზიდან ამ გზას დაუწყო სროლა, დაგვიჭირა რამდენიმე კაცი და გუნდიც შესდგა. ამ დროს ამხ. ხარაში ჩამოვიდა ჩვენთან და უსაყვედურა გუნდს ყოყმანი, როცა დრო ასე ძვირფასია. ის თითონ წავიდა იმ გზით ნელა და არც დაწოლილა. გავიდა უვნებლათ. ამაზე მივუთითე კახელებს და ისინიც ერთი მეორეს მიყვენ დაოთხული, მაგრამ ჩქარა კიდევ დაჭრილი და კიდევ ყოყმანი... მივედი ბეგთან მიწოლილებთან და ვეუბნები, რომ თუ ჩქარა არ დავათავეთ გზა, თავს დაგვილიან და დაწოლილებს დაგვხოცავენ. ამ დროს გვერდიდან მოსულმა ტყვიამ თავზე გადამირბინა, იქით მდგარ ჩემ ცხენს აცდა და რამდენიმე კაცს იქით ბოლოში წოლიარეს ჩაესო ფეხში. ორი ამხანაგი წამოდგა რომ მისთვის შეეხვიათ. ადგილის გამოცვლა მაინც ეხარებოდათ. მოვიდა და ლაპარაკში ჩაგვერია თფილისელების კომანდირი თუთბერიძე, რომელმაც მითხრა: ჩვენ წავიდეთ იქ და ჩემ მეორე გუნდს დავუძახებ, მაგათი სირცხვილი იყოსო. მეც საყვედურით ვუთხარი მათ, რომ ისე წავალთ, არც დავიღუნებით და ნახავთ, რომ არაფერი არ დაგვიმავდებათქო და წავედით ლაპარაკით. მესამედი გზა არ გვქონდა გავლილი, რომ მტერმაც შეგვნიშნა და მოვაყარა სეტყვასავით. ტყვია ხან წინ, ხან უკან გვირბენდა ზუზუნით, ხან თავზე გადაგვირბენდა. ვხედავდით აქ საჭირო იყო ოთხი ფეხი, მაგრამ ნათქვამი გვახსოვდა და მივდიოდით. ძლივს გათავდა გზა, გავედით სამშვიდობოზე, შევტრიალდით და ვუყვირეთ: „ხედავთ“?. აიშალენ კახელები და გამოირბინეს ეს ბეწვის ხიდი. ადგილზე დარჩა მხოლოდ ნახევარი მწყობრი იმ პუნქტის დასაცავათ.

ამ დროს საიერიშოთ წასული გუნდი შუა მაღლობზე იყო და განაგრძობდა ცოცვას. ისინი მტერზე სულ ოციოდ საჟენით იყვნენ დაშორებული და რომ მტერს თავისუფლათ არ დაეყარა ზევიდან მათთვის ტყვიები, აქედან ზურგის გამმაგრებელი გუნდი ცეცხლს უნთებდა ცხვირის წინ. ამ გუნდს თვითონ პრუსეცკი ხელმძღვანელობდა პირადათ.

მე და თუთბერიძე შევდექით გორაკზე და დავაფიქსირეთ ბრძოლის ველი ხიდისკენ. იქიდან მტერი უკვე ირყეოდა, ჩვენები უკვე გამოჰყვნენ ხიდზე და გააფთრებული აწვებოდნენ მტერს. ირგვლივ გუგუნი გაისმოდა მთის არტილერიისა. ხოლო ჩვენი კოლონის ბატარეა სდუმდა, რადგან ის მხარე (ჩვენ დასავლეთით), საიდანაც მას უნდა დაეშინა, ჯერ კიდევ სქელი ბურუსით იყო მოცული და ბრძოლის ველის დანახვა მათ არ შეეძლოთ. აგერ ისინიც ალაპარაკდენ, მაგრამ თავისიანების დახოცვის შიშით ძლიერ შორს ისვრიან, მტერს თავზე აყლევენ ყუმბარებს, საჭირო იყო იქ წასვლა და ბრძოლის ველის ახსნა, მაგრამ აქედან უკან გასვლა არც აგრე ადვილი იყო. უკვე რამდენიმე კაცი იყო გაგზავნილი მოხსენებით და უკან არავინ დაბრუნდა. აღმართზე ასვლა-ჩამოსვლის დროს მტერი ნადირობდა ჩვენებზე და საზოგადოთ, ჩვენს ზურგს ყურადღებას აქცევდა, რომ მაშველი არ მოგვსვლოდა. თფილისელების მოსვლის მომენტში კიდევ კარგათ არ იყო ჩვენ უკან მოწმენდილი და მათი მოსვლა მხოლოდ შემოერთების შემდეგ შეეძლოთ. შევნიშნეთ. ეხლა კი ჩამოცდა თუ არა მთას ჩვენს მოსაშველებლად მომავალი, რადაც ნაწილი, მტერმა იქით გადაიტანა ცეცხლი და მათაც გზა იქციეს, გორაკს მიეფარენ. ვფიქრობთ შემოვლით მოვლენ ჩვენამდე.

საიერიშოთ წასული გუნდის ცდა გამარჯვებით გათავდა, ერთი გორა აიღო, გაწყვიტა შუაზე მტრის ხაზი და გამაგრდა ამ ახალ პუნქტზე, ხოლო მტერი ორი მხრიდან ცდილობს კონტრიერიშით დაკარგულის დაბრუნებას. ვხედავთ გუნდი შუა გაიყო და იქით-აქეთ ორი მხრივ სცემს პასუხს. საჭიროა მათი გაძლიერება. უფროსმა გასცა განკარგულება მათი გაძლიერებისა, ხოლო თ—ს ბატალიონს ერთ გუნდს—მეორე მაღლობის იერიში.

მტერს ძალები თანდათან ემატება. ჩვენ კარგათ ვამჩნევდით, რომ თათრებს რუსები შეერივნენ ხაზში, ამავე დროს ჩვენი მარცხენა კოლონის ტყვიისმფრქვეველები სულ წინ და წინ იწევენ, წითელი ბუშლატები უფრო და უფრო გასარჩევათ სჩანან. ცხადათ სჩანს, რომ მათი მოწინააღმდეგე მხოლოდ იმის ცდაშია, მწყობრათ დაიხიოს, რასაც ჯერ კიდევ ახერხებს. ჩვენ მხარეზე ახალი ძალების მოყვანაც იმის ნიშანია, რომ ეშინიანთ გზა არ მოუჭრათ. აუცილებელია ჩქარა მაშველი ნაწილი, აუცილებელია არტილერიის ცეცხლის დახმარება და მტრის საჩქაროთ განდევნა ჩვენ წინა მდებარე ყველა მაღლობებიდან. ამხ. თუთბერიძემ ურჩია პრუსეცკის საჩქაროდ ეცნობებია ყველაფერი საველე შტაბში, ეხლა ყველაფრის აწერა არ შეიძლება, ვინმე ჩვენგანი წავიდესო. პრუსეცკიმ წასვლის წინადადება მე მომცა. გავემართე იმავე ბეწვის ხიდით, რომ ცხენამდე მივსულიყავი. იქ გვარდიელებმა მირჩიეს ქვეითად წავსულიყავი, რომ უფრო ცუდი სანიშნე ვყოფილიყავ მტრის თოფებისთვის, მაგრამ კარგად ვხედავდი, რომ ამ ტალახსა და აღმართში ფეხით ვერ მივაღწევდი მიზანს, დრო არ იცდიდა. დაახლოვებით ასი საჟენი გავირბინე ცხენით თავისუფლად; მტერმა უკვე მოასწრო ნიშანის აღება და ამის შემდეგ სულ ზუზუნით მაცილებდა. მთის ძირ ასვლისას მოფარებულში შევნიშნე ის ნაწილები, რომლებიც ცოტა ხნის წინ ჩვენსკენ მოდიოდენ. გადაუხვიე და აღმოჩნდა საგანგებო ტყვიისმფრქვეველთა გუნდის ნაწილი და შორაპნელების ერთი გუნდი. იმათ კაცები გამოეგზავნათ ჩვენთან და უცდიდნენ გზის ჩვენებას. მე მაშინვე ჩავედი მათთან, გავუყევი სანამ საჭირო იყო, ვაჩვენე ყველაფერი და გაუშვი პირდაპირ იმ გორებზე, რომლებიც უკვე ჩვენ ხელში იყო და თითონ გავექანე მთაზე. იქ ნისლი უკვე აღარ იყო და თითონაც გაერჩიათ ბრძოლის ველი, უკვე აყრიდენ მტერს ყუმბარებს, ხოლო როცა მეც დავუდასტურე ჩვენი და მათი პოზიციების მდგომარეობა, უფრო ენერგიულათ დააყარეს ყუმბარები. შორაპნელებიც ამ დროს მიემატნენ და ვაშააა! გაისმა მთიდან. მტერმა ყველა მაღლობებიდან იბრუნა პირი და ჩვენებიც ერთბაშათ აცვივდენ მაღლა. ამ დროს მათი მარჯვენაც, ხიდის რაიონიდან შევიწროებული, ატორტმანდა და დაეშვა დიდ გზაზე და რომ დაინახა თავის მარცხნენს სირბილი, შეეშინდა გზის მოჭრის და გამოუშვა მათგან დაკარგულ მაღლობების უკან ასაღებათ რამდენიმე გუნდი. ისინი გძელი მწკრივით გამოემართენ პურში, მაგრამ ჩვენგან გაგზავნილ ყუმბარებს გარდა მათ შეხვდათ მაღლობებზე უკვე ატანილ ტყვიისმფრქვეველთა და თოფების ცეცხლი და იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ განზრახვაზე. მაინც მიეცა საშუალება მათ ცხენოსან პოლკს, რომ ველი გაევლო და სამხრეთისაკენ მოხერხებული პუნქტი დაეჭირა, რათა ქვეითა ნაწილების და არტილერიის წასვლისთვის ხელი შეეწყოთ. საჭირო იყო კიდევ მაშველი. მე ვთხოვე უკანასკნელი რეზერვი,—შორაპნელების ორი გუნდი მოეცათ, რომ სულ მარჯვნივ გადამეყვანა და მტრის განადგურება დასრულებულიყო, მაგრამ სარდალმა ვერ დაინახა შესაძლებლათ მთის სავსებით დაცალიერება. და ასე, მტერი წავიდა ჩვენ თვალ წინ, მტერი დამარცხებული, არეულ-დარეული, თითქმის განადგურებული, მაგრამ ჩვენ ვერ, ვისარგებლეთ მათი დამარცხებით ვერ დავატყვევეთ ის, რადგან ამისთვის არ გვყავდა ახლოს არც ერთი დასვენებული ნაწილი. ჩვენმა ცხენოსანმა დივიზიონმა სცადა მისი დადევნება მაგრამ მცირე აღმოჩნდა ამ მისიისათვის..

მთიდან ვხედავთ, რომ ჩვენი მარცხენა კოლონა უკვე ს. მიხელოში შედიოდა. არტილერია აღარ ისროდა, ბრძოლა გათავდა. ჩვენ წავედით ბრძოლის ველის დასათვალიერებლათ. დაღალული მეომრები დასასვენებლათ ემზადებოდენ ჯგუფ-ჯგუფად იყრიდენ თავს და ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდენ. ჩვენც ვულოცავთ ყველას გამარჯვებას. ისმის „ვაშა“, „გაუმარჯოს საქართველოს“, „ვაშააა!“...

გვარდიელები გვიჩვენებენ დატოვებულ მკვდრებს. „სუყველა რუსებია საწყლები და მერე როგორი ვაჟკაცები!“, სიბრალულით გვიხსნიდენ გვარდიელები. ზოგი მათგანი აცრემლდა კიდეც, როცა აკვირდებოდა მშვენიერ, ჯერ სიცოცხლე წაუშლელ ლამაზ ახალგაზდას, რომელიც მძინარივით ესვენა ქორფა ბალახზე, თითქო ბუნების წიაღში ლაღობსო...

„საცოდავი რუსები, გულუბრყვილო რუსები! ყველგან და ყოველთვის ასე ემართებათ: იხოცებიან სადღაც, ვიღაცისთვის, ასე უმადურათ. დღესაც ესენი ყრიან ბრძოლის ველზე, ხოლო თათრები დროზე გაიქცნენ და თავის მკვდრებიც წაუღიათ“,—ამბობს ოფიცერი კარგარეთელი.

ჩვენც გავემართეთ ს. შიხლოსკენ, ამხ. ვალიკოს და სხვების სანახავათ.

**ზ. დათიაშვილი.**

# „წითელ“ ადერბეიჯანში

ეკონომიური მდგომარეობისათვის. კასპიის იქითა მხრიდან ბაქოში ჩამოვიდნენ იქაურ „სოვნარხოზის“ წარმომადგენლები; მათ ჩამოიტანეს მარილი აღუთქვეს სხვა საქონლის ჩამოტანაც და ითხოვდნენ ადგილობრივ საქონელს თავიანთ საჭიროებისათვის. მაგრამ მათ უარი უთხრეს, რადგანაც ბაქოს კომისრებმა გადასწყვიტეს საქონელი მხოლოდ რუსეთში გზავნონ.

**მილიციის „გაწმენდა“.** ბალშევიკებმა მოახდინეს ბაქოს მილიციის „გაწმენდა.“ ახალ საუბნო კომისრებათ დაინიშნენ განსაკუთრებით რუსები. მუშათა რაიონებში შესდგა განსაკუთრებული მილიცია.

**დახვრეტა.** საბჭოთა მთავრობის ოფიციალურ ორგანო „კომუნისტ“-ში ყოველთვის ქვეყნდება სახელი და გვარი იმ პირთა, რომლებიც დახვრიტეს და ის დანაშაული, რისთვისაც ტრიბუნალმა დასაჯა ესა თუ ის პირი. მაგრამ „კომუნისტ“-ში ჯერ არ ყოფილა განმარტება იმის შესახებ, თუ რით ამართლებენ ბალშევიკები თავიანთ ტაქტიკას იმის შემდეგ, რაც ცენტრალურ საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ (ფრონტის გარეშე).

**პეტროვსკში.** ივნისის პირველ რიცხვებში პეტროვსკში შეამჩნევდით რაღაც ყრუ მღელვარებას. მღელვარება გამოწვეული იყო დაღესტნის მხრიდან მოსული ხმებით.

**ლენქორანში.** ლენქორანში უცბათ მოეწყო „რევკომი“. „რევკომში შევიდნენ რუსები და მუსულმანები. თავმჯდომარეობს მუსულმანი. საჩქაროთ იქნა ჩაყვანილი ლენქორანში წითელ არმიელები, რომლებმაც დაუყოვნებლივ იწყეს ჩვეულებრივი მუშაობა: დააპატიმრეს „ბურჟუაზია“, გაჩხრიკეს და დახვრიტეს ბევრი ისეთი პირები, რომელთაც ბრალი ედებოდათ ლენქორანის რესპუბლიკის გაუქმებაში. კომუნისტებნ სამაგიეროს უხდიან ხალხს კროპოტოვისა და სხვა ბალშევიკურ მოღვაწეთა დახვრეტის გამო, რომლებიც თავის დროზე გაიქცნენ ლენქორანიდან და დაჭერილ იქნენ კასპიის ერთ-ერთ კუნძულზე. ზღვით მიმოსვლა ლენქორანსა და ბაქოს შორის იშვიათი მოვლენაა.

**ნ უ ხ ა.**

ნუხაში შევიდა 4 საბჭოთა პოლკი 4—5 ათასი კაცის რიცხვით, ჯარი თითქმის მარტო რუსებისაგან შესდგება. ადგილობრივმა „რევკომმა“ წინადადებით მიმართა ჯარს მოთავსებულიყვნენ ყაზარმებში რაც ჯარის მიერ არ იქნა შესრულებული. არმიელებმა ქალაქის საუკეთესო სახლები დაიჭირეს. საბჭოთა ჯარი ქალაქში შევიდა საღამოთი და მეორე დილას ქალაქის მცხოვრებლებმა იხილეს, რომ მთელი ქალაქის ირგვლივ ზარბაზნები იყო გაწყობილი, რომლის ლულები ქალაქისაკენ იყო მიშვერილი.

საბჭოთა ჯარების უფროსმა გამოსცა ბრძანება ქალაქის მცხოვრებლებისადმი, რომ უკანასკნელთ ჩაებარებიათ მთელი იარაღი. ქალაქში პანიკა დაიწყო. იარაღი სულ მთლად ჩაბარებულ იქნა. ამის შემდეგ დაიწყო ჩხრეკა და დატუსაღება. ორ-სამ დღეში შეპყრობილ იქნა 400 მუსულმანი და 16 სომეხი ბურჟუაზიის წრიდან. შეპყრობილ მუსულმანთა რიცხვში არიან ყველა წევრები სხვადასხვა ნაციონალურ კომიტეტებისა, რომლებიც ყოფილან ნუხაში ხელმძღვანელნი ბანდებისა და სხვა. შემდეგ ამისა საბჭოთა ჯარები შეუდგნენ მახლობელ სოფლების მცხოვრებთა განიარაღებას. იარაღი ჩამოართვეს თითქმის ყველა სოფლებს გარდა ერთი ორისა, რომლებიც ჯერ კიდევ სასტიკ წინაალმდეგობას უწევენ. ხმები დადის, ნაწილი შეპყრობილების დახვრიტესო.

**ადერბეიჯანის ღერბი** საბჭოთა ჯარების შესვლისთანავე ადერბეიჯანში კომისრების და საზოგადოთ სახაზინო ბეჭდები ასეთი შემოიღეს: ამოჭრილია ნახევარი მთვარე, თურქულად აწერია: „ადერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკა“, რუსულად კი—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“.

**უკმაყოფილება.** საბჭოთა მთავრობის წინაალმდეგ .ბაქოში უკმაყოფილების ხმა გაისმის არა მარტო მუსულმანებში, არამედ—სხვა დანარჩენ მცხოვრებლებშიაც. მიზეზი ამისა არის ცხოვრების გაძვირება. რუსეთში გაზიდეს თითქმის ყოველივე სურსათ-სანოვაგე. რუსი მცხოვრებნი, რომლებიც ბალშევიკების მოსვლას სიხარულით მიეგებენ, ახლა ათენებენ რა ღამეებს პურის რიგში, ხშირად გაიძახიან: „ჩვენ ამას არ მოველოდითო“.

**განჯის აჯანყების შემდეგ.** განჯის აჯანყების შემდეგ ბაქოში აკრძალეს 9 საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლა. საღამოს 9 საათზე ზარბაზნის პირველი გასროლა აუწყებს მცხოვრებთ, რომ უნდა წავიდ-წამოვიდნენ ბულვარიდან, თეატრებიდან და კინემატოგრაფებიდან. მეორეთ გასროლის შემდეგ ქუჩაში არავინ აღარ უნდა იყოს, გარდა მილიციონერებისა და იმ მოქალაქეთა, რომელთაც ნებართვები აქვთ.

# ბალშევიკების საქმიანობა

ს. თ—ია განაგრძობს წერას „კომუნისტ“—ს პატარა ფელეტონში „ბალშევიკების საქმიანობაზე“ თითქოს იუმორისტული, ნამდვილათ კი—მასხრული კილოთი.

ამ მწერლის აზრით „საქმიანობას მიჩვეულნი განსაკუთრებულ რაზმის თანამშრომელნი ცუდათ გრძნობდნენ თავს. აუცილებელი იყო რაიმე საშუალების გამოგონება. დაფაცურდნენ და... მთელი შეთქმულება აღმოაჩინეს!..“

მაშასადამე, სოფია პრესმანის ქალი ფურცლებითურთ განსაკუთრებულ რაზმს შეუქმნია, ჩაუყვანია ის ნატანებში და შეუპყრია.

ბალშევიკები სწერენ და გაიძახიან: ფურცლები ბათომის კომიტეტმა დაბეჭდაო.

ჩვენ ვამბობთ და ამას ადასტურებს თვით დამნაშავე პრესმანი, რომ ფურცლები დაბეჭდილია თფილისში.

და განა საეჭვოა ვისმესთვის, რომ რუსეთის კომუნისტური პარტიის „კრაევოი“ კომიტეტი თფილისში არსებობას განაგრძობს?!..

საქართველოს კომუნისტური პარტია, გაზეთი „კომუნისტი“—ლეგალურათ საშუშაოდ.

რუსთა ეროვნული საბჭო—კომუნისტების პარტიის წევრთა სარეგისტრაციოდ.

„კრაევოი“ კომიტეტი—არა ლეგალური „პლანებისათვის“,—აი ბალშევიკების თავშესაფარი ადგილები და მათი საქმიანობა!,,.

ჩვენც გავყვებით ბალშევიკებს ფეხდაფეხ, აღვნუსხავთ მათ ყოველგვარ „საქმიანობას“, როგორც ლეგალურს, ისე არა ლეგალურს.

ეს განყოფილება ჩვენს გაზეთში იქნება ის სარკე, რომელშიაც ბატონნი ბალშევიკები დაინახავენ თავიანთ მოხინჯ სახეებს.

აქ გამოჩნდება ყველაფერი ის, რასაც ბალშევიკები აკეთებენ ჩვენს დაბა-სოფლებში, ქალაქებში, მუშებში, გლეხებში.

ამის შესახებ ჩვენ წერილები მოგვდის და კვლავაც მივიღებთ... **X.**

---

**კომუნისტების ტრანსპორტი.**

სოფია პრესმანის საქმე იმის მაჩვენებელია, თუ როგორ აქვთ მოწყობილი ბალშევიკებს არა ლეგალური ლიტერატურის გავრცელების საქმე, ან, როგორც ამას ვეძახდით ფარული მუშაობის დროს,—ტრანსპორტის საქმე.

ბათომში შესვლის ნებართვა პრესმანის ქალმა აიღო თფილისში ივნისის 5-ს. 6 ივნისს კი, ის შეპყრობილ იქნა სად. ნატანებში.

ამის გამო სამტრედიის უბნის რკინის გზის მილიციის უფროსი მოახსენებს შემდეგს: „დღეს, 6 ივნისს მატარებელი № 6 მეორე კლასის კუპეში იქნა გაჩხრეკილი სოფიო პრესმანი. გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ბალშევიკური პროკლამაციები წონით 15 გირ. და გაზეთი „კომუნისტი“ წონით $7^1/_2$ გირ. აღნიშნული პროკლამაციები სოფიო პრესმანს გაჰქონდა ბათომში. ვინაიდან ჩემთვის გამოურკვეველია პროკლამაციების ბათომში გატანა, ამისთვის სოფიო პრესმანს, პროკლამაციებს წონით 15 გირ., პასპორტს № 1645 და მოწმობას № 4711 გირდგენთ თქვენს განკარგულებაში“.

რას ამბობს თვით პრესმანის ქალი?

ნატანების საბაჟოს წარმომადგენლის მიერ შედგენილ ოქმში ვკითხულობთ: „პროკლამაციები და „კომუნისტის“ ნომრები მან მიიღო „კომუნისტის“ რედაქციის სტამბაში, ქალაქ თფილისში, ვანქის ქუჩაზე, ერთი „გოსპოდინისაგან“, რომლის ვინაობის დასახელება მე არა მსურს. მონდობილი მქონდა როგორც ფურცლები, ისე გაზეთის ნომრები ჩამეტანა ქალაქ ბათომში და გადამეცა საქონლის სადგურში ერთი „გოსპოდინისთვის“, რომელსაც [illegible] ვინაობა და გვარის დასახელება არ მსურს. ბათომში მივემგზავრები საკუთარი საქმეების გამო; დანარჩენი ჩვენების მოცემა არა მსურს“.

ვინ არის სოფია პრესმანი?

თფილისში ჩამოყვანილი, ის შემდეგ ჩვენებას იძლევა: „მე აქაური, ქალაქ თფილისის მცხოვრები ვარ. 1918 წლის აგვისტოში წაველ მოსკოვში და იმ დროიდან ვცხოვრობდი რუსეთში 1919 წლის ოქტომბრამდე. რუსეთში წასვლისას მე ვეკუთვნოდი „ბუნდის“ პარტიას, დაბრუნებისას კი, და მას შემდეგ, ვეკუთვნი კომუნისტების პარტიას. 5 ივნისს მე წაველი ბათომში ადგილობრივი კომუნისტების ორგანიზაციის დავალებით, რათა წამეღო და სხ...

ასეთია სოფია პრესმანის ჩვენება,—მის მიერ ხელმოწერილი, შემოწმებული. „კომუნისტის“ ბალშევიკები კი გაიძახიან საქმე თვით მთავრობამ შექმნა, რომ ჩვენს წინაალმდეგ რეპრესიები გამართლოსო.

უნდა დავსძინოთ, რომ $7^1/_2$ გირვანქა „კომუნისტი“ შეიცავს ამ გაზეთის 1, 2 და 3 ნომრებს.

რამდენიც უნდა სწერონ ბალშევიკებმა, რამდენიც უნდა იყაყანონ, ფაქტი ის არის, რომ პრესმანის ქალის საქმე ბალშევიკური ტრანსპორტის სარკეა...

# იტალიის მისიის ცნობები

**ლონდონი.** 7 ივნ. პარლამენტში ლოიდ ჯორჯი ამტკიცებდა რუსეთთან კომერციულ დამოკიდებულების აღდგენის საჭიროებას, რათა შეძლება გვქნეს იქიდან გამოვიტანოთ დიდძალი ხორბალი, ხე-ტყე და სხვა მასალები.

„რეიტერი“ იუწყება: საღამოს კაბინეტის ზოგ წევრებს მოლაპარაკება ჰქონდათ. კრასინმა მოხსენება გააკეთა ტყვეების შესახებ.

**ვარშავა.** 7 ივნ. პოლონეთის შტაბის ცნობით პოლონელებს შუაბერეზინაზე დაუკავებიათ რუშეცი. ბალშევიკები უკან იხევენ.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

12 ივნისი.

**ბალშევიკების ცნობები.**

**სამხედრო ცნობა.**

1920 წ. 11 ივნისი. დვინის დასავლეთით ჩვენმა ნაწილებმა ამ ქალაქის 10—20 ვერსის მანძილზე რიგი პუნქტებისა აიღეს. ბერეზინაზე შეჩერებულ იქნა მოპირდაპირის ცდა შეტევაზე გადმოსვლისა. კიევთან დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, ჩვენ ვავიწროვებთ პოლონელებს და რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ კორსტენ-კიევის რკინის გზის ხაზზე. ფასტოვი ჩვენ ხელშია. ყირიმის რაიონში პერეკოპის და სივაშის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება.

**ფრანგული ცნობები:**

**ფასები სანოვაგეზე.**

საფრანგეთში სხვადასხვა სურსათზე ფასის დაცემა გრძელდება. განსაკუთრებით სამხრეთ საფრანგეთში ეცემა ფასი ღვინოზე, ქერზე, საპონსა და ერბოზე.

**გერმანიის არჩევნები.**

გერმანიის არჩევნები, რომელშიაც უკიდურეს პარტიებს კარგი შედეგები ჰქონდა, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ რეიხსტაგში მილერს საგრძნობი უმეტესობა არ ეყოლება.

**ჩეხო-სლოვაკიაში.**

პრაგიდან იუწყებიან: ჩეხო-სლოვაკთა მთავრობამ წარადგინა კანონ-პროექტი საგარეო ვაჭრობის განყოფილებას ბიუროს შედგენის შესახებ. ეს ბიურო მოაწყობს: შეტანის და გამოტანის რეგლამენტაციას და კანტროლს და აგრეთვე ყველა საქონლის ტრანზიტს.

**სერბიაში.**

ბელგრადიდან მოსული ცნობის თანახმად მთელ სამეფოში საუცხოვო მოსავალი იქნება, განსაკუთრებით პურისა. მოსალოდნელია, რომ მოსავალი აღმოფხვრის შინაურ საჭიროებას. ხორბლის მოსალოდნელმა გატანამ გავლენა იქონია ბირჟაზე.

**პოლონეთი და სლოვაკია.**

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პატეკი პარიზში მოვიდა. მას აქვს რწმუნება მოლაპარაკება აწარმოოს სლოვაკთა საგარეო საქმეთა მინისტრ ბენეშთან ტეშენის კონფლიქტზე თავის არბიტრაჟის შესახებ, პატეკის რწმუნება ძალაში რჩება მიუხედავათ პოლონეთის კაბინეტის გადადგომისა.

---

**თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობა.**

**ომსკი.** საბჭოთა გაზეთების ცნობით ომსკში საგანგებო სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალის სხდომა გაიხსნა, რომელიც ადმირალ კოლჩაკის მთავრობის ყოფილ მინისტრების საქმის გარჩევას შეუდგა. ბრალდებულთა სკამზე ციმბირის საზოგადო მოღვაწენი. სულ ბრალდებულთა რიცხვი 24 უდრის, ტრიბუნალის სხდომები ომსკის რკინის გზის სახელოსნოებში ხდება.

**ტამანის ნახევარ კუნძულზე** გადმოსხმულია გენერალ ვრანგელის დესანტი. დესანტი უმთავრესად ყუბანის და დონის ყაზახებისაგან შესდგება. დესანტი შეიარაღებულია არტილერიით და ტყვიისმფრქვეველებით, ამასთან ერთად დაიწყო პარტიზანული აჯანყებები საბჭოთა მთავრობის წინაალმდეგ. თანახმად ჯერ კიდევ შეუმოწმებელი ცნობებისა, დესანტის წინა ნაწილებს ანაპა აუღიათ.

**დაღესტანი.** საბჭოთა მთავრობის წინაალმდეგ მიმართული მუსულმანთა მოძრაობა იზრდება. რკინის გზით მიმოსვლა ბაქოსა და პეტროვსკს შორის შეწყვეტილია.

ამ რაიონში აჯანყებულთა მიერ გარშემორტყმულია საბჭოთა ერთი დივიზია, რომელიც ამ რაიონებში იმყოფება.

**ლონდონი.** 6 ივნისი. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ განიხილა ნოტა, რომელშიაც გამოთქმულია რუსეთის სურვილი, მოკავშირეთა წარმომადგენლებთან კავშირის დაჭერის შესახებ. ბალშევიკების მხრივ რაიმე გარანტიების მიცემის შესახებ არავითარი შეთანხმება არ მომხდარა.

# ახალი ამბები

**ბოროტ-მოქმედება ბარათებით.** სასამართლოს პალატის პროკურორმა შრომის სამინისტროს შეკითხვით მიმართა იმ პირთა შესახებ, რომელთაც ყალბი ცნობები წარადგინეს ზედმეტი სურსათის მისაღებათ. ყველა იმ პირთ, ვინც სასურსათო ბარათებით ბოროტ-მოქმედებაში მონაწილენი აღმოჩნდება, პასუხისგებაში მისცემენ.

✦ **ფეხსაცმელები მცხოვრებთათვის.** ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ მიიღო იტალიის ფირმის ფეხსაცმელები, რომელიც ერთი კვირის შემდეგ დაურიგდება ქალაქის დუქნებს გასაყიდათ.

✦ **სარძევე ვაჭრობის კანტროლი.** ქალაქის თვითმართველობის საექიმო-სასანიტარო და სასურსათო განყოფილება წინადადებას იძლევა შედგენილ იქნეს გაერთიანებული ორგანო რძის პროდუქტების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად და მათი გაყიდვის საკანტროლოთ. მოწყობილი იქნება სპეციალური ბაქტერიოლოგიურ-ქიმიური სალაბორატორიო პუნქტი. ეს ორგანო სარძევე მეურნეობაში მახლობელ სოფლებს ხელმძღვანელობას გაუწევს.

✦ **სატარიფო პალატამ გადასწყვიტა** ყველა მუშა-მოსამსახურეებს მიეცეს ერთდროული დახმარება ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობისა, არა უმეტეს 3000 მანეთისა. მთავრობამ დაადასტურა ეს დადგენილება და საჩქაროდ წარდგენილია დამფუძნებელ კრებაში შესაფერი კანონ-პროექტი, რომელიც 15 ივნისს იქნება განხილული.

✦ **საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაცია.** საქართველოს მოქალაქე-ქვეშევრდომთა რეგისტრაცია სამხედრო უფროსთან ფრიად გაცხოველებულად მიდის. სამხედრო უფროსის სამმართველოში, სხვათა შორის, აღნიშნავენ, რომ ყველას, ვინც კი იქ მიდის აუცილებელი საბუთები არა აქვს, ამიტომ მართველობა იუწყება, რომ უნდა წარდგენილ იქნას საბუთები, რომელნიც დაამოწმებენ დაბადების დროს, ან ხნოვანობას, ე. ი. მეტრიკული ამოწერილობა, ან საოჯახო სია. უნდა აღნიშნულ იქნას საცხოვრებელი ადგილი და კომისარიატი. მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებებს უფლება ეძლევათ გამოგზავნონ სია მოსამსახურეებისა, მაგრამ ამის დაშვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი პირადი მოსვლა სარეგისტრაციოთ დაწესებულების მუშაობისთვის საზარალო იქნება. 1875—1882 წელში დაბადებულნი რეგისტრაციის დროს ჩაითვლებიან მოლაშქრეთ და 1883—1897 წლ. კი სათადარიგოთ.

✦ **მიწად-მოქმედების სამინისტრომ** 1920—21 ფინანსიურ საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვა შეიმუშავა. სამინისტრო აღნიშნავს, რომ სამინისტროს შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით იგი შემდეგ შემოსავალს მოელის: ტყის გაყიდვისაგან 95,635,180 მან. ღვინის სახელმწიფო მამულებიდან 46,747,250 მანეთი, სახელმწიფო მამულებში ხორბალის მეურნეობის, მებოსტნეობის და კულტურულ-ტეხნიკურ მცენარეულობათა შემოსავლებისაგან 52,165,960 მან. ტყისა და გადასახადთა განყოფილებიდან მიღებულ სხვადასხვა ჯარიმა 311,000 მან., სხვადასხვა წარმოებიდან განსაკუთრებით ბორჯომის სახელმწიფო მამულის ქარხნებიდან შემოსავალი 200,101,766 მან. საერთოდ მიწადმოქმედების სამინისტრო ელის 502,387,213 მან. შემოსავლის, უმთავრესი გასავალია პირადი შემადგენლობის შენახვა, სამეურნეო და საოპერაციო გასავალი და სხვ. მთელი გასავალის ხარჯთ-აღრიცხვა გამოანგარიშებულია 369,716,808 მ. წმინდა შემოსავალი ხარჯთ-აღრიცვით უნდა დარჩეს 132,670,405 მან.

✦ **ბოროტ-მოქმედება.** საგანგებო რაზმის უფროსს კედიას ცნობა მოუვიდა, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს ერთ-ერთ განყოფილებიდან გაუტანიათ ყალბი საბუთებით—955,521 მანეთი. გამოძიებამ გამოარკვია, რომ მიწად მოქმედების სამინისტროს აგენტმა ალექსანდრე ივანეს ძე კოზმავამ მიიღო ეს ფული. მან გაგზავნა ს. წნორის-წყლიდან სადგ. ფოთში სამი დუბლიკატი შემდეგი №№№ 1) 000814—4 ფუთი 30 გირ. ქერი, 2) 000815—3 ფუთი 10 გ., 3) 000816—7 ფუთი 10 გ. ეს დუბლიკატები ჩამოიტანა თფილისში და გაადასწორა პატარა რიცხვები 4 ფუთი და 30 გ. დიდ რიცხვებათ—644 ფ. 30 გ., 3 ფუთი 10 გ.—953 ფ. 10 გ. და 7 ფუთი 10 გ. 727 ფ. 10 გ. მისამართი —ფოთი გადააკეთა ბორჯომათ და ეს ყალბი დუბლიკატები წარუდგინა გადასახლების განყოფილების უფროსს ყალბივე ანგარიშებით, საიდანაც იქნა გამოტანილი—749,296 მანეთი, ამას გარდა, გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ალექსანდრე კოზმავას მიუთვისებია 206,225 მ. სახაზინო ფული, რომელიც მას ქონდა მიცემული ქერის შესაძენათ, ამავე სიქმეში მიუღია მონაწილეობა პლატონ კასრაძეს, რომელსაც დაუწერია ანგარიში, რომლითაც მიუღია ეს—749,296 მ. და მოუწერია ხელი, როგორც ვითომ, ის არის სიმონიშვილი და მიუტანია სამინისტროში. ამ ანგარიშებით გამოუტანია ფული. ალექსანდრე ივანესძე კოზმავა და პლატონ კასრაძე დატყვევებული არიან, ბოროტ-მოქმედებაში გამოტყდნენ, აგრეთვე აღმოჩენილია ყველა ეს ყალბი საბუთები.

✦ **გიმნაზიელი ქალების შანტაჟი.** სისხლის სამართლის მილიციის აგენტებმა შეიპყრეს პირველი ქალთა გიმნაზიის მე-4-ე კლასის მოწაფეები: ანნა ფილიპეს ასული გოგელია, ევგენია გაბრეჩიძე, დარუსია გრიგოლის ასული რუსიშვილი და თამარა იოსების ასული გობელაძე, რომელთაც უსახელო წერილების საშუალებით განუზრახავთ 1 მილ. მანეთის მიღება, უსახელო წერილები უწერნიათ მათ ვოლგა-კამის კომერციული ბანკის ს. მაზმანოვის სახელით. შეპყრობილებმა აღიარეს დანაშაული. მათ განაცხადეს, რომ უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთ მშობლებით, იმედი ჰქონდათ მიიღებდენ ერთ მილიონ მანეთს და წავიდოდნენ თფილისიდან.

✦ **ს. ახალგორში** (დუშეთის მაზრა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომელიც შორავს მუხრანს 23 ვერსით. ტელეგრაფის გახსნამდე აწარმოებს მარტო ფოსტის ოპერაციებს.

✦ **ჯანმრთელობის დეპარტამენტი.** დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსების შესახებ. დეკრეტის თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსდება ჯანმრთელობის დეპარტამენტი, რომლის შესანახადაც მიმდინარე წლის 1 ივნისიდან 1921 წლ. 1 ივნისამდე გადადებულია 2,968,504 მან. ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსებისათანავე უქმდება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საექიმო-სასანიტარო განყოფილება.

✦ **საექიმო დახმარება სოფლის მცხოვრებთათვის.** თანახმად დამფ. კრების დასტურისა შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკო-სასანიტარო ბიურომ დაადგინა გახსნას ახალციხეს მაზრაში ახალი ამბულატორიები, ვინაიდან სოფლის მცხოვრებლებს დიდათ ესაჭიროებათ საექიმო დახმარება.

✦ **„თეატრი და ცხოვრების“** საზეიმო საღამო შესდგება დღეს, არტისტიულ თეატრში. პროფ. ს. ავალიანი წარმოსთქვამს სიტყვას „ხელოვნების აღორძინება“. დანი თარხნიშვილები შეასრულებენ სიმღერებს. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: გრიშაშვილი, ქუჩიშვილი, რუხაძე. სხვათა შორის დაიდგმება ი. იმედაშვილის ახალი პიესა „ალების ცეკვა“ და ს. წერეთლის შარჟი.

✦ **მუშათა ცენტრალური კლუბი.** (პლეხანოვის პრ. № 123) დღეს, 13 ივნისს, შესდგება კონცერტი პეტროგრადის მარინსკის ოპერის მსახიობის ბ. ა. მეზენცოვისა, ქ.ქ. ე. ა. კაგაროვის, ნ. ე. კონოვალოვის და ე. ვ. ვლადიმიროვის მონაწილეობით. კლუბის წევრებისათვის შესვლა უფასოა.

✦ **სახელმწ. უნივერსიტეტის** სამეურნეო განყოფილების მე-3 კურსის სტუდენტები ამ მოკლე ხანში მიემგზავრებიან სავალდებულო საზაფხულო სავარჯიშო საერთო მიწათ მოქმედებაში ნიადაგ მეცნიერებაში და სამეურნეო მექანიკაში მუხრანის სახელმწიფო მამულში პროფესორების კ. ამირაჯიბის და დ. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით და ასისტენტების ი. ლომაურის და გ. რცხილაძის დახმარებით. შემდეგ კი სტუდენტობა განაგრძობენ ვარჯიშობას ბაკურიანში და ბორჯომში მეტყეობის შესასწავლად პროფესორ ქურდიანის ხელმძღვანელობით. ვარჯიშობის დათავების შემდეგ განზრახულია სტუდენტებმა იმსახურონ ამ ზაფხულში სახელმწიფო მამულებში სპეციალურ ცოდნის მისაღებად. დაწვრილებითი ცნობები ცალკე იქნება გამოცხადებული.

✦ **თათბირი სახალხო უნივერსიტეტის შესახებ.** ამ დღეებში გაზეთებში იყო ცნობა, რომ სახალხო უნივერსიტეტი გადავიდა განათლების სამინისტროს ხელში და უკანასკნელმა ამ საქმისთვის 1200000 მან. გადასდოო. სინამდვილეში საქმე სავსებით ეგრე არ არის. განათლების მინისტრის ამხანაგის ცინცაძის წინადადებით შესდგა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს გეგმა და სისტემა სახალხო უნივერსიტეტის მომავალი მუშაობისა. კომისიაში შედიან: სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ი. ჯავახიშვილი, ქალაქის მოურავის ამხანაგი გ. კონიაშვილი; დამფუძნებელი კრების სწავლა-განათლების კომისიის თავმჯდომარე ლ. ნათაძე; სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარე ს. ქორქელიანი; პროფესიონალ. კავშირთა საბჭოს მდივანი ი. ჩხენკელი, ქალთა მეექვსე გიმნაზიის დირექტორი გ. ლორთქიფანიძე; სახალხო უნივერსიტეტის გამგე ი. ანთაძე; ზანდუკელი, გრ. ნათაძე, ილ. ნაკაშიძე და ვლ. ჩერქეზიშვილი. საკითხები ჯერ ჯერობით მხოლოდ ირჩევა და გადაჭრით იმის თქმა, თუ ვის ხელში იქნება მომავალში სახალხო უნივერსიტეტი, ან როგორ იწარმოებს მისი მუშაობა, ძნელია, მაგრამ ერთი რამ კი ეხლავე აშკარაა—სახალხო უნივერსიტეტის მომავალი მუშაობა დაჯდება ბევრად მეტი, ვიდრე 1,200,000 მანეთი.

✦ **სახალხო სახლი.** დღეს საღამოს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ამ სეზონში უკანასკნელი წარმოდგენა—შილერის ტრაღედია „ყაჩაღები“. დასაწყისი საღამოს 8 ს. ადგილების ფასი სახალხოა.

✦ **იპოვა** ვასო ნარიმანიძემ ნაძალადევის რკინის გზის ხიდზე ტყავის საფულე 29 მან. ფულით. პატრონს შეუძლია მიიღოს ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონის ბიუროს ბინაზე.

✦ **„ეშმაკის მათრახი“**-ს მორიგი ნომერი გამოვიდა დღეს.

✦ **ორთაჭალის მუშათა კლუბის** გამგეობა, დღეს თავის ახლად გაშენებულ ბაღში გამართავს დიდ საზეიმო საღამოს.

— **შეცდომის გასწორება.** „ერთობის“ № 121, სადაც მოთავსებულია გასული წლის ს. დ. ორგანიზაციების მოღვაწეობა — ფოთის ორგანიზაციაში სწერია: საარჩევნო ფონდი—300 მან. უნდა იყოს: 4,300 მანეთი.

### კ რ ე ბ ე ბ ი.

ორშაბათს, 14 ივნისს, საღამოს სრულ 6 ს. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა. ბიუროს წევრებს სთხოვენ მობრძანდენ ერთი საათით ადრე.

— კვირას, 13 ივნისს დილის 11 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია ხეზე მომუშავეთა საზოგადო კრება.

### პროვინციის ქრონიკა.

**ს. რუისი** (გორის მაზრა) 10 ივნისს ამ სოფლიდან აყარებული საქონელი თავის მწყემსებით დაირეკეს და წაასხეს შეიარაღებულმა ოსის ბრბოებმა. ცხინვალის მახლობელ სოფლებიდან აყარებული ხალხი გამოექცა ოსებს და თავის საქონლით შემოეხიზნა ს. რუისის მცხოვრებლებს. ხალხის ხოცვა აყარებულია, სხვათა შორის ნაკუწ-ნაკუწათ აქციეს ს. ფხვენისის მცხოვრები მიშა ამილახვარის გვამი. მცხოვრებლები მეტად აღელვებულნი არიან და ყველა მათგანი გამოვა თავის დასაცავად, მაგრამ იარაღი არ აქვთ. საქონლის წამსხმელებს რუსელები ბარიებით, თოხებით, კეტებით და ცულებით დაედევნენ, მაგრამ შეიარაღებულ ბრბოსთან რას გახდებოდნენ.

# მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

თანახმათ მთავრობის დადგენილებისა მომარაგების სამინისტრო ... კოოპერატივთა და ... კერძო სავაჭროების ... შეუდგა ნედლი პარკის დაგროვება-შესყიდვას შემდეგ პირობებში: ნედლი პარკის მოსავლის ჩაბარება დასყიდვის დროს მეაბრეშუმე იღებს ადგილობრივ ბაზრის ფასს და როცა მთავრობა ხმელ პარკს გაასაღებს უცხოეთში, მეაბრეშუმეს მიეცემა კიდევ ზედმეტ ფასად 30 პროც. წმინდა მოგებისა. პარკის შესყიდვა-მიღება მოწყობილ იქნება ქ. თფილისში (სააბრეშუმო სადგური), თელავში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ლანჩხუთ-ჯვარში, ამაღლება-ვანში, საჯევახოში, ლანჩხუთში, ნატანებში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, აბაშაში, ახალსენაკში, ბანძაში, ხონში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, გალში, ოჩემჩირში, სოხუმში, ზესტაფონში, უწერაში, ცაგერში და სხ. უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მთავარ რწმუნებულ ი. ქუთათელაძისაგან ქ. თფილისის და ქუთაისის საბრეშუმო სადგურებში.

# დედათა და ბავშთა მფარველი საზოგადოება

მოკლე, მაგრამ საყურადღებო ისტორია აქვს ხსენებულ საზოგადოებას. სულ მოკლე ხანში მან შესძლო ბევრის გაკეთება. ბევრ ობოლ, უპატრონო ბავშს აღმოუჩინა მან ბინა. გაამო, გაათბო და მისცა თავშესაფარი. ბავშვებისთვის ზრუნვა, პატარაებისათვის დამხმარე ხელის გაწოდება, ჩვენი მომავალი თაობის გონივრად აღზრდა, ეს ხომ ჩვენი უპირველესი და უსაჭიროესი მოვალეობაა.

დედათა და ბავშთა მფარველი საზოგადოება აი ამ ჩვენს საერთო მოვალეობას პირნათლად ასრულებს. მეორე წელიწადია რაც საზოგადოება მოქმედებს და მან უკვე სიყვარული მოიპოვა მრავალი ბავშებისა და ყურადღება დაიმსახურა ფართე საზოგადოებისა.

ბევრი უსახლ-კარო, ობოლი ბავში შეაფარა საზოგადოებამ თავის ჭერქვეშ. ბევრს შეუშრო თვალზე ტანჯვის ცრემლები, ბევრი იხსნა ტანჯვა-ვაებისაგან, ბევრი ქუჩაში მოხეტიალე უპატრონო ბავში დააყენა კეთილ, ადამიანურ გზაზე. ასეთ საზოგადოებას, ასეთ მოღვაწეთ დახმარება, ხელის შეწყობა უნდა. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. არსად არ არის იმდენი სამუშაო, იმდენი თავის სამტვრევი საკითხები, რამდენიც ბავშთა მოვლის, შეფარების და აღზრდის საქმეში. ბევრი მშობლებიც-კი იძულებულია თავის საკუთარ ბავშებს ნაკლები ყურადღება მიაქციოს, გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა, ეძახის დედ-მამას სამუშაო ფაბრიკისაკენ. თვით ათი, თორმეტი წლის ბავშვებსაც კი გზავნიან სამუშაოდ, თუ ასეთი რამ სადმე აღმოჩნდა.

თუ ასეთ დღეში არიან ბავშები, რომელთაც დედ-მამა ყავთ და ჭერ-ბანი მაინც მოეპოებათ, როგორი იქნება ობლების და ქუჩაში უპატრონოთ დარჩენილ იავშების მდგომარეობა?

მათხოვრობა, პატარაობიდანვე სპეკულიანტობა, გარყვნილება და მომავალი საზოგადოებისათვის ულირსი წევრების მომზადება არის იმის შედეგი. ამას ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება... ახლავე უნდა მოეღოს ბოლო ქუჩებში ბავშების ხეტიალს, მათხოვრობა-სპეკულიანტობას.

ამიტომ, სასიამოვნოა, რომ ჩვენი ქალაქის მამებსაც მიუქცევიათ ამისთვის ყურადღება და როგორც გაზეთები გვამცნობენ, სახეში აქვთ აღკრძალონ ქუჩაში ბავშების ვაჭრობა. კარგია თუ სიტყვას საქმედ აქცევს ჩვენი ქალაქის გამგეობა. ხოლო არ კმარა მარტო აღკრძალვა. საჭიროა ამ ბავშების მდგომარეობის აღწერა-გამოკვლევა და ზომების მიღება უპატრონო ბავშებისადმი. მათი დაბინავება, კეთილ გზაზე დაყენება, სწავლა, აღზრდაზე ზრუნვა. დედათა და ბავშთა მფარველი საზოგადოება, დაარსებული ანდრიკა ჟორდანიას სახელობაზე, სწორედ ამისთვის ზრუნავს, ამისათვის მუშაობს. მეტი ყურადღება ამ საზოგადოებას, მეტი დახმარება ამ კეთილ საქმეს. დახმარება მატერიალური, დახმარება შრომით, ენერგიით, წევრებად ჩაწერით.

**ს. დოლიძე.**

# ნეკროლოგი.

**ილო ჩიხლაძე.**

იმ დროს, როდესაც სამშობლო ყოველის მხრით მტრებითაა გარშემორტყმული და ჩვენი საუკეთესო მომძენი საზღვარზე უდგანან მტერს, აქ, შიგნით, მეტათ საზარელ ამბებს ახდენენ ქვეყნის მძარცველნი—ყაჩაღები. ეს ელემენტები კვლავ ამოძრავდენ. ატენის ხეობაში ბოროტ-მომქმედნი არ კმაყოფილდებიან იმით, რომ ეცემიან მშვიდობიან მცხოვრებთ, სტაცებენ მათ, რაც გააჩნიათ და საუკეთესო შვილებსაც კი ასალმებენ სიცოცხლეს. ჯერ კიდევ შემოდგომაზე ყაჩაღების მსხვერპლი შეიქნა ატენის თემის, სარაიონო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე და საუკეთესო ამხანაგი საშა ჩიხლაძე, მათ არ იკმარეს ეს და 30 მაისს ატენის ხეობის, ერთ უღელტეხილზე ყაჩაღები დაეცნენ ატენის გვარდიელებს და სიცოცხლე მოუსპეს ხსენებული გვარდიის წინამძღოლს ილო ჩიხლაძეს.

მიუხედავათ იმისა, რომ ილო დაჭრილი იყო, მაინც არ დაუვარდა ყაჩაღებს და იბრძოდა. მოასწრო რამდენჯერმე ესროლნა ჩასაფრებულ ბრბოსთვის.

სამწუხაროა, როდესაც ასეთ დროს მებრძოლ რაზმს აკლდება ამგვარი თავდადებულნი. გაძევერა და საზიზღარი გაყაჩაღებული მეზობლის ხელით.

ნუ თუ ბოლო არ უნდა მოეღოს ამ საზიზღართა მოქმედებას. რას ფიქრობენ ატენის გვარდიელები, რომ მათ აღარ ყავთ თავიანთი უფროსი ამხანაგი ... გაუსწორდნენ? განა არ უნდა ... ყაჩაღებს ... უნდა შური იძიონ გვარდიელებმა თავიანთი მოძმის სისხლისათვის და დაანახვონ ყაჩაღებს, რომ ამნაირი საქციელისთვის ყველა სასტიკათ დაისჯება...

შენ კი უმანკო მსხვერპლო და სამშობლოს სამსახურისთვის თავდადებულო ილო, მშვიდათ განისვენე. დეე შენგან აიღონ მაგალითი ატენის გვარდიელებმა, თუ როგორი თავდადებული ბრძოლაა საჭირო ნაძირალების წინააღმდეგ.

**იასონ ჩიხლაძე.**

# უცხოეთი

### რ უ ს ე თ ი.

**თერგის ოლქში.** კავკასის 29 მაისის „კომუნისტ“-ში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „თერგის ყაზახობის საბოტაჟი“. წერილიდან ნათლად ირკვევა თუ როგორი სულიერი განწყობილება არსებობს დღეს თერგის ყაზახობაში. მაშინ, როდესაც ყუბანისა და დონის ყაზახობა,—ამბობს გაზეთი, ჩაბმული არის აღმშენებლობით მუშაობაში—ხნავს, სთესავს, პოლიტიკურათ მსჯელობს,—თერგის ყაზახობა მოუცავს სიჩუმეს, გულგრილობასა და ინერტობას. ისინი გაურბიან საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობას და ვილაცას ელიან. „ნუ იცდით... ნუ გაქვთ იმედი, რომ თითქოს დაბრუნდება დენიკინი, მახნო, ინგლისელები, ოსმალები, ეშმაკი, კუდიანი. საბჭოთა მთავრობას თქვენ ვერსად გაექცევით“—მიმართავს წერილის ავტორი თერგის ყაზახობას. ასეთივე სიჩუმეა დამყარებული თერგის ყაზახობის აღმასრულებელ ორგანოში. უკანასკნელი გადაკეთებულ იქნა „რევკომათ“, მაგრამ მის მუშაობაზე არაფერი ისმის. „რევკომმა“ მიზნათ დაისახა შემდეგი საქმის გაკეთება: 1) სათევზაოების მოწყობა, 2) მაუდის ქარხნის გახსნა სად. ნაურსკი და 3) ძეგლის აგება „სტენკა რაზინისათვის“. მაგრამ პირველი ორი საქმე, ალბათ, საოლქო „სოვნარხოზს“ გადაეცემა გასაკეთებლათ, „რევკომს“ კი დარჩება გასაკეთებელი ის, რომ ძეგლი აუგოს სტენკა რაზინს...

**ყუბანში.** ყუბანის საოლქო „რადის“ ყოფილი წევრი პალიუკი მთელი თავისი რაზმით ბალშევიკების წინააღმდეგ მოქმედებს. ეს ის პალიუკია, რომელიც თავის დროზე ბალშევიკებს შეუერთდა და ხელი მოაწერა „რადის“ მოწოდებაზე ბალშევიკებთან შეთანხმების შესახებ. ასეთი ცვლილება მასში გამოიწვია იმან, რომ ბალშევიკებმა არ გაამართლეს მისი იმედები ყუბანში, სადაც მათ ხელი მიჰყვეს დევნას და ათასგვარ რეპრესიებს. პალიუკის გარშემო თავი მოიყარეს შეიარაღებულ მცხოვრებლებმა და „მწვანე არმიელებმა“. მან მოსწყვიტა ნოვოროსიისკი ეკატერინოდარს. ამ ჟამად პალიუკი მიემართება მაიკოპისაკენ და დაიჭირა „გარიაჩი კლიუჩი“. ბალშევიკები შეწუხებული არიან პალიუკის მოქმედებით. მინდვრებში სამუშაოების მოახლოვების გამო ბევრი ყაზახი სტოვებს საბჭოთა ჯარებს და მიეშურება საკუთარი მიწების დასამუშავებლათ. ბალშევიკები ჯერ-ჯერობით გულგრილათ უყურებენ დეზერტირობას, მაგრამ მომავალში განზრახვა აქვთ ამ მოვლენას ფართოდ ებრძოლონ. („გ.“).

### ო ს მ ა ლ ე თ ი.

**ინგლისელები და ქიამილ-ფაშა.** იზმიდის ყურესთან ინგლისელი ჯარები ზარბაზნებიდან ესვრიან ქიამილ-ფაშას ჯარებს.

**მუსტაფა-ქიამილი და კონსტანტინოპოლის მთავრობა.** კონსტანტინოპოლის მთავრობასა და ქიამილ-ფაშას შორის მოლაპარაკება დაიწყო. ქიამილი მოითხოვს ამნისტიას და თავის უფლებების აღდგენას უწინდელ ფარგლებში.

### გ ე რ მ ა ნ ი ა.

**ზავი მოსკოვ-საქართველოს შორის.** გერმანიის სოც.-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო „ფორვერტსი“ ზემო მოყვანილი სათაურით 15 მაისის ნომერში შემდეგს სწერს: „საბჭოთა მთავრობამ საქართველოსთან ზავი შეჰკრა, რომელიც ამ დემოკრატიულ-სოციალისტურ რესპუბლიკის სრულ დამოუკიდებლობას უზრუნველჰყოფს. რუსეთის სახელმწიფოს გასაჭირმა, პოლონეთის შეტევის გამო, მოაახლოვა ეს ზავი, რასაც ჩვენთვის სიმპატიურ ქართველ ხალხს განსაკუთრებით მიულოცავთ.

**ამერიკის სოციალისტურმა** პარტიამ დაადგინა მონაწილეობა მიიღოს მეორე (ჟენევის) ინტერნაციონალის მუშაობაში.

### დ ა ნ ი ა.

**ლიტვინოვის წინააღმდეგ.** დანიის პრესა ძლიერ კომპანიას ეწევა ლიტვინოვ-ფილგენშტეინის წინააღმდეგ; მოითხოვენ მის გადასახლებას დანიიდან, როგორც ბალშევიკური აგიტაციის მთავარ ხელმძღვანელია.

# ბათომი

— ამ დღეებში ყარსიდან ბათომში ჩამოვიდა 1600 ლტოლვილი ბერძენი. 7 ივნისს კიდევ ჩამოვიდა იქიდანვე 1500 კაცი. აღნიშნული ლტოლვილები გემი „ნავიხო“—თი სალონიკში წავლენ, წავლენ. სამშობლოში დაბრუნების ნება დაერთო მხოლოდ იმ ლტოლვილ ბერძნებს, რომლებიც სომხეთში იმყოფებოდენ. ლტოლვილ ბერძნების სამშობლოში გაგზავნის საქმეზე მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც უმთავრესად ბერძნებისაგან შესდგება.

— ბათუმის ქუჩებში თითქმის ყოველ დღე ატუსაღებენ იმ პირთ, რომელთაც პასპორტები საადრესო სტოლში არ აქვთ შემოწმებული. ამიტომ ამ უკანასკნელ დღეებში დიდძალი ხალხი დგას რიგში მოწმობების შესამოწმებლათ. გამოცხადების დროს საჭიროა სახლის წიგნი.

— ბათუმის ბაზარზე დიდძალი შაბიამანი დაგროვდა. ფასები არაა დიდი. ვაჭრების სიტყვით საზღვარ გარეთ ამ ჟამათ უფრო მეტ ფასში ყოფილა შაბიამანი, ვიდრე ბათუმში.

— სადგ. ქობულეთში ღამით სამტრედიიდან მომავალ მატარებელში ყოველ დღე შედის ინგლისელი აფიცერი რომელიც ყველა მგზავრებს თხოვს პირადობის მოწმობებს. მას თან მიყვება სტუდენტის ფორმაში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა. ეს უკანასკნელნი მგზავრებს უშინჯავენ ჯიბეებს რის შემდეგ თურმე მგზავრებს ეკარგებათ ფულები.

— სამოქალაქო სამმართველოს უფროსის განკარგულებით პირველ ივნისიდან საოლქო საავადმყოფოში თითეულ ავადმყოფს დღე და ღამეში გადაახდევინებენ: საერთო განყოფილებაში მწოლიარეს—300 მან. ცალკე ოთახში მყოფს-კი 300—500 მან. ავადმყოფები ოპერაციისთვის, ანალიზისთვის და სხ. გადიხდიან ცალკე. საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებებმა მათ მიერ გამოგზავნილ ავადმყოფებისათვის ფული ერთი თვით უნდა გადიხადონ.

# დამფუძნებელი კრება

8 ივნისის სხდომა.

(დასასრული)

**ბ. თევზაია.** ამ კითხვის გამორკვევამ მიიღო არა სასურველი ხასიათი არა იმიტომ, რომ შემკითხველნი მას მწვავედ შეეხნენ, სრულიადაც არა. იმათ ამ შეკითხვებს დაურთეს ყოველივე ის, რაც მომხდარა ამ ორი წლის განმავლობაში და ისიც, რაც არ მომხდარა. მე არასოდეს არ მომისმენია ისეთი სიტყვები, რაც აქ დაიხარჯა ამ სპეციალურ ტეხნიკურ საკითხის გამო. ჩვენ აქ მოვისმინეთ ოპოზიციის მიერ ათასჯერ გამეორებული ფრაზები და ძალაუნებურად გვიხდება პასუხის გაცემა. აქ ლეო შენგელაია იცავდა დემოკრატიულ პრინციპებს და ამან ის იმდენათ გაიტაცა, ისე გაათამამა, რომ ასეთი აზრიც კი წარმოსთქვა: ფულის ნიშნების ბეჭდვის საკითხი რეფერენდუმით უნდა სწყდებოდესო. არსად დედამიწის ზურგზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ არამც თუ თქვენ მსგავს მემარცხენეებს, არამედ ნამდვილ მემარცხენეებსაც მოეთხოვნათ, ფულის ნიშნების ბეჭდვა რეფერენდუმის საშუალებით უნდა ტარდებოდესო. მას რომ ეთქვა ეს ემისიის შესახებ კიდევ შეიძლება ასეთი შემცდარი აზრის მოსმენა, მაგრამ მან რეფერენდუმი მოითხოვა ბეჭდვის შესახებაც. ეს ალბათ აიხსნება მით, რომ ის კითხვა, რომელსაც ისინი ეხებიან, მათთვის სრულიად გაუგებარია. აქ სთქვეს, ფულები მაშინ დაიბეჭდა, როდესაც კომუნისტები უახლოვდებოდენ საქართველოსო. აქ მათ ვილაზედაც რაღაც ეჭვი შეიტანეს. ასეთ ორაზროვან სიტყვების თქმა არა არის საკადრისი დეპუტატისათვის. ლ. შენგელაიას ამხანაგი ზავსაც შეეხო, მათ რუსეთთან დადებული ზავი ძლიერ აწუხებთ. ალბათ იმედი ჰქონდათ ბალშევიკების შემოსვლისა და სწუხან იმედები რომ არ გაუმართლდათ. არ გადარჩათ არც ერთი დაწესებულება, რომ არ შეხებოდენ. აქ სასურსათო სამინისტროსაც შეეხნენ. ესერები თითქმის მომხრენი არიან წარმოებაში საზოგადოებრივ, სახელმწიფოს ინიციატივის და ასეთმა დაწესებულებამ როგორიც არის სასურსათო სამინისტროს თავის ოპერაციებით მოიგო 262 მილ. მანეთი. ეს მათ კარგათ იციან. ამის შესახებ შემოსული არის მოხსენებები, და თუ მაინც გადასწვდენ ამ უწყებას და სთქვეს, ანგარიში არ წარმოგვიდგინაო, ამას განზრახ სჩადიან, სურთ წინდაწინვე გაუფუჭონ სახელი ამ დაწესებულებას. ეს არ არის დემოკრატიული ბრძოლა. ასეთი ბრძოლის მეთოდები სასირცხოა ადამიანისათვის.

თქვენ ორ მცნებას ერთი ერთმანეთში ურევთ. ვერ გაგირჩევიათ რა განსხვავებაა ფულის ბეჭდვის და გამოშვების შორის. არ იცით, რომ ეს სხვადა სხვა მცნებაა, როგორც ეკონომიურათ, აგრეთვე იურიდიულათ. როდესაც მსოფლიო ომის დასაწყისში გერმანიამ მობილიზაცია გამოაცხადა ამის მეორე დღესვე მოხდა მობილიზაცია შვეიცარიაში და იმავე დღეს იქ ბაზარზე გაქრა ოქროს ფული და სამაგიეროთ გამოვიდა ქაღალდის ნიშნები. როგორ მოხდა, რომ ერთი დღის განმავლობაში მოასწრეს ქაღალდის ნიშნების გამოშვება. ეს მოხდა იმიტომ, რომ წინათვე იყო დამზადებული ყოველ შემთხვევისათვის ნიშნები; სახელმწიფო წინასწარ უნდა შეუდგეს თადარიგს, რომ საჭიროებისამებრ, თუ კი დასჭირდება, გამოუშვას დროზე ქაღალდის ფულის ნიშნები. აქ ესერებმა ყოველივე მცნება აურიეს ერთი ერთმანეთში, მონარქი, ქაღალდი, ემისია და სხვა, რაზედ გინდათ, რომ არ ელაპარაკნათ. მათ უნდა იცოდენ, რომ გაზეთი „სლოვო“, რომელმაც დაბეჭდა მათი შეკითხვის ტექსტი, შეიძლება კარგი გაზეთი იყოს, მაგრამ ფიქრი უჩნდება, რომ მას ერევნის სპეკულანტებთან აქვს ერთნაირი კავშირი, რომლებიც შეეცდებიან ისარგებლონ ამ შეკითხვით. უდავოა ის დებულება, რომ როდესაც გამოშვებული ქაღალდის ფულის ნიშანი წახდება, ხაზინამ ნაცვლად დაფლეთილებისა, ახალი ნიშნები უნდა გამოუშვას. ამისათვის არავითარი ემისია არ არის საჭირო. ამით ფულის რაოდენობის რიცხვი არ გამრავლებულა და ამიტომაც არავითარი საბიუჯეტო უფლებები დამფუძნებელ კრების არ არის დარღვეული, როგორც ბრძანებენ ესერები. აქ თეორიასაც შეეხნენ და ბევრი რამ უცნაური აზრები წარმოსთქვეს. სთქვეს სხვათა შორის, უცხო ვალიუტის საფუძველზე საკუთარ ვალიუტის შექმნა არ შეიძლებაო მაგ. ინგლისმა მოგვცა 5 მილ. მან. სტერლინგი. ამ სტერლინგის საფუძველი ინგლისის მეურნეობა, და ამაზე ვალიუტის შექმნაც შეიძლება. თუ ის სახელმწიფო, რომლის ვალიუტაზედაც შეიქმნება ჩვენი ვალიუტა დაინგრა, ჩვენი ფულის კურსი დაეცემა, თუ ის აღორძინების გზაზე იდგება ჩვენი კურსიც მაგარი იქნება. ეს უბრალო საანბანო ჭეშმარიტებაა და მგონია ეს უნდა ესმოდეთ შემკითხველებს. მე ვიცი, რომ ნუცუბიძე დამოუკიდებლობის ნიადაგზე სდგას, მაგრამ ყოველ დარგში ამის მოთხოვნა ეს ეკონომიური აბსურდი იქნება. სახელმწიფოს დანგრევა ორნაირათ შეიძლება. ერთი არის პირდაპირი, ვანდალური ბრძოლა, მაგრამ არიან მეორე ჯურის ხალხნი, რომელთაც პირდაპირ ბრძოლა არ შეუძლიანთ და სხვადასხვა მახინაციებით ცდილობენ მიაღწიონ თავიანთ მიზნებს. ასეთი შეკითხვები ბირჟებისათვის არის სასარგებლო. საფრანგეთში ხშირათ მიმართავდენ ხოლმე ბურჟუაზიული პარტიები ასეთ შეკითხვებს და ამით აკეთებდენ თავიანთ წრის, ბირჟევიკების საქმეს, მხოლოდ არ ყოფილა იქ შემთხვევა, რომ სოციალისტურ პარტიებს შეეტანათ ისეთი შეკითხვა, რომელიც სასარგებლო გამოდგება სპეკულიანტებისათვის. შემდეგ ორატორს მოჰყავს მაგალითები საფრანგეთის ცხოვრებადან, რითაც ამტკიცებს, რომ სოციალისტურ პარტიებს ხშირათ ჰქონიათ ხელში ნამდვილი საბუთები და არა ისეთი ყალბი, რომელიც ეს-ერებმა მოაგროვეს, რომ ადვილათ გამოიყენებდენ პოლიტიკურ ბრძოლისათვის, მაგრამ არ მიმართავდენ ხოლმე, რათა იცოდნენ რა შედეგები მოყვებოდა ასეთ შეკითხვებს. ამ გვარ შეკითხვებით ჰქნიან პანიკას. მე არ ვიტყვი, რომ ესენი შეგნებულნი აგენტები იყვნენ ბირჟევიკების, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მათ ბრმა იარაღათ იყენებს ისეთი ხალხი, რომელთაც სრულიად შეუგნებლად იცავს ნუცუბიძე. (ტაში.)

**ხვ. კედია.** მე არ ვიყავი მომხრე, რომ ასეთი შეკითხვა შემოეტანათ. მე მეგონა შეკითხვის ავტორნი შეეცდებოდენ სხვა გზით შეეტყოთ საქმის ვითარება, მაგრამ რახან ეს მოხდა, საჭიროა ეს საკითხი მთელი თავის სიცხადით გამოაშკარავდეს.

ორატორს საჭიროთ მიაჩნია ამ საკითხის განმარტება, რადგანაც იგი ზოგიერთთათვის გამოურკვეველია. არ არის სასაყვედურო ის დეპარტამენტი, რომელიც აქ გამოიჩინეს ამ საკითხის გარკვევის დროს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც დეპუტატები იცავენ დამფუძნებელ კრების უფლებებს და ეს დადებით ნაყოფს გამოიღებს და ბევრ შეცდომას აგვაცდენს. ორატორი ნაციონალ-დემოკრატების ფრაქციის სახელით მწუხარებას აცხადებს, რომ ეს შეკითხვა იქნა შემოტანილი, რომელსაც ზარალის მეტი არაფრის მოტანა არ შეუძლიან.

**ს. ავალიანი** (ფინ. მინ. ამხ.). წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ საზღვარ გარეთ შევეკვეთენა ფულის ნიშნების ბეჭდვა. მაგ., არგენტინა 50 წელიწადია, რაც თავის ფულის ნიშნებს იტალიაში ბეჭდავს და არ ყოფილა შემთხვევა, რომ არგენტინის მთავრობას ამის უფლება გამოეთხოვნა პარლამენტისაგან. კერენსკის მთავრობაც ბეჭდავდა ფულს პენზაში. აქედან თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ ფულის ნიშნების დაბეჭდვა. ეს უბრალო ტეხნიკური საქმეა. და ამისათვის საჭირო არ არის კანონმდებლობითი ორგანოს დასტური.

მერე იწყება ემისია, რაც ნიშნავს მას, რომ დაბეჭდილი ნიშნები, ფულად იქცევა მაშინ, როდესაც ეს დაკანონდება კანონმდებლობითი გზით. ყოველი სახელმწიფო წინასწარ უნდა ეწეოდეს თადარიგს და ემისიისთვის მზად იყოს. აქ სთქვეს, ბალშევიკების მოახლოვებისას შეუდგნენ ბეჭდვასო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ჩვენ ხომ არ ვიცოდით წინასწარ, რომ ასე მალე გათავდებოდა ომი, რომელიც ზედმეტ ხარჯებს იწვევს; ემისია დაგვჭირდებოდა და წინასწარ უნდა გვქონოდა ნიშნები დამზადებული, რათა ანარქია არ მომხდარიყო. რაც შეეხება იმას, რომ ის რაც ხაზინაში შედის, ფულათ იქცევაო, ეს არ არის ასე. ხაზინაში შეგიძლიანთ თქვენ დაბეჭდილი ყუთი მიიტანოთ შესანახათ, რომელშიაც შეიძლება აგურებიც ეწყოს. ხაზინა მას შეინახავს და ეს არ ნიშნავს, რომ ყუთში რაც აწყვია, ფულათ იქცევა. ხაზინაში ნიშნების შენახვა არ ხდის მას ფულათ. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, თუ საიდან შესდგა ის ფული, რომელიც დაიხარჯა. ეს იყო ძველი ემისიის ნაშთი, რკინის გზიდან შემოსული 180 მილ., სხვა შემოსავალი 254 მილ., 245 მილ. მან. დაფლეთილი ბონების შეცვლა. ყოველივე ამან მისცა სახელმწიფოს საშუალება უახლ ემისიოთ დაეფარა საჭირო ხარჯები. ეს იყო საკრედიტო ოპერაცია, რომლის უფლებაც აქვს აწარმოვოს ფინანსთა მინისტრს.

თქვენ ციფრებით რწმუნდებით, რომ ემისიის გარეშე ერთი კაპეიკიც არ დახარჯულა. და ასეთი უსაფუძვლო შეკითხვებს ბაზარი თავისებურათ გასცემს პასუხს, რაც არ იქნება სასარგებლო ჩვენთვის (ტაში).

**ილ. ნუცუბიძე** ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ ექსპედიციაში მომუშავენი არა ჩვეულებრივ ჯამაგირებს იღებენო. ზოგი დღეში 1000 მანეთს იღებსო და სხვა. ორატორი კვლავ იმეორებს თავის პირველ სიტყვის დებულებებს.

**დ. თოფურიძე.** აქ სოციალისტ-რევოლიუციონერებმა იმდენი რამ ბრძანეს, რომ ჩვენ იძულებული ვხდებით კვალ და კვალ მივსდიოთ და დავუმტკიცოთ მათ თავიანთი შეცდომა. რა სურდათ დაემტკიცებინათ შემკითხველებს? პირველი ის, რომ სამინისტრომ ჩაიდინა სიყალბე და დამფუძნებელ კრების დაუკითხავად დაბეჭდა ფულის ნიშნები და მეორე ბრალდება—ემისიის გარეშე გამოუშვეს ფულები ბაზარზეო და დამნაშავენი სისხლის სამართალში უნდა იქნან მიცემულნიო. პირველი კითხვაა დაბეჭდეს თუ არა ემისიაზე მეტი? დაბეჭდეს, მაგრამ ეს ხომ ელემანტარული მცნებაა, რომ სამინისტროს ჰქონდა უფლება წინასწარ დაემზადებინა ფულის ნიშნები. აქ ამის შესახებ ილაპარაკა სოც. ფედერალისტების ორატორმა გრ. რცხილაძემ, რომელმაც ასეთივე აზრი გამოსთქვა, რასაც ჩვენ ვამბობთ და აღნიშნა, რომ სამინისტროს ჰქონდა სრული უფლება დაებეჭდა ფულის ნიშნები. სამწუხაროა, რომ დამფუძნებელ კრებაში ასეთ ელემანტარულ კითხვის შესახებ გვიხდება ამდენი კამათი. ყველასათვის ცხადია, რომ [illegible]

[illegible]

## პროფ. კავშირთა წარმომადგენლების კონფერენცია

(დასასრული).

**სატარიფო პალატის დაკანონების საკითხი.**

[illegible]

ლათ სთვლის არსებულ ეკონომიურ პირობების გამო.

კამათის შემდეგ კრება ერთხმად ღებულობს შემდეგ თეზისებს: 1) სატარიფო პალატა აწესებს ტარიფებს დაქირავებულ შრომის ყველა დარგში, გარდა ადმინისტრატიულ პირებისა; 2) ტარიფები სავალდებულოა ორივე მხარისთვის. სატარიფო პალატის გარეშე და მის დაუდასტურებლათ დადებულ ყოველგვარ შეთანხმებას ძალა არ აქვს; 3) თუ სატარიფო პალატის გადაწყვეტილებას მწარმოებლები არ დაემორჩილებიან, მაშინ ეს დამორჩილება უნდა მოხდეს იძულებითი წესით; 4) სატარიფო პალატას ორგანიზაცია და მოქმედება განისაზღვრება ცალკე წესებით, რომელსაც ამტკიცებს შრომის მინისტრი.

**რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა:**

თანახმად აქ მოყვანილ თეზისებისა, რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს სატარიფო პალატის დაკანონება.

მწარმოებლების მოგებაზე თვალყურის დაწესების შესახებ კონფერენციის რამოდენიმე წევრის მიერ წამოყენებულ საკითხზე კრება ადგენს: დაევალოს აღმასრულებელ კომიტეტს,—მიიღოს ზომები ამ საკითხზე მასალების მოსაგროვებლათ, რის შემდეგაც დაისმის თვით საკითხი, რომელიც წინასწარ უნდა გაირჩეს პრესაში და განსაკუთრებით გამართულ თათბირებზე.

**დახმარება ზოგიერთ პროვინც. ქალაქის მუშებს.**

რამდენიმე პროვინციალურ ქალაქის წარმომადგენელნი მოახსენებენ კრებას, რომ არიან ისეთი კატეგორიის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც ძალიან მცირე ჯამაგირებს ღებულობენ და დიდ გაჭირვებას განიცდიან.

[illegible]

ბედნიერად, ამ რამდენიმე თვის წინეთ პროფესიონალურ ორგანიზაციებთან გაიხსნა [illegible] მოქმედება დაიწყო აღნიშნულმა [illegible] დადოებამ. და აი ჩვენც და- [illegible] ამ ახალ ნაკადს. მართალია, [illegible] ების ხელმძღვანელთ წინ [illegible] ოლებები გადაელობათ, მა- [illegible] ოდებულმა მუშაობამ ყველა- [illegible]

## ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 10 ივნისს, საღ. 6 ს. შედგა მეორე რიგი სხდომა. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ცენტრიდან, 2) მოხსენება საზოგადო კრების შესახებ. პირველი კითხვის შესახებ ამხ. სირბილაძემ გააკეთა მოხსენება ცენტ. კომიტეტის, თფ. კომიტეტის, მთავრობის, პროფესიონალურ კავშირების და სხვა ორგანიზაციათა გაერთიანებულ სხდომის შესახებ, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კრებას იქ განხილული კითხვა. მოხსენების შემდეგ არის შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელი სათანადო პასუხს იძლევა, რის შემდეგ იმართება კამათი. კითხვის სავსებით ამოწურვის შემდეგ სხდომა იღებს სათანადო რეზოლიუციას. სხდომა ისმენს ოქმს, პარტიის წევრთა 3 ივნისის საზოგადო კრებისას, რომელზედაც პირველ ყრილობის დელეგატებათ არჩეულ იქნენ ამხ. ს. ჯიბლაძე და ე. სირბილაძე, ხოლო მათ კანდიდატებათ უ. ელიავა და ს. ვადაჭკორია. X.

## მუშათა შორის

**თფილისი.** გასულ 1919 წელს თფ. პირველ ხარისხოვან საპარიკმახეროებში მომუშავეებმა მიიღეს ერთი თვით დასვენება სამუშაო ხელფასის მიცემით, რასაკვირველია. წელს ბ.ბ. ხაზეინებს „ჭკუა უსწავლიათ“, როგორც ამბობდა ერთი მათი წარმომადგენელი ერთ-ერთ სხდომაზე, და დაუდგენიათ, ორი კვირის სამუშაო ხელფასი მივცეთ მომუშავეთ და ერთი თვით დასვენება“-ო. ბ. ბ. „ხაზეინებმა“ თუ მართლა „ჭკუა ისწავლეს“ ჭკუიანურად უნდა მოიქცნენ და დაიმახსოვრონ: რაც უკვე ცხოვრებაში გატარებული იყო წარსულ წელს, უნდა გატარდეს წელსაც...

ვურჩევთ: ნუ გაამწვავებენ საკითხს!

საპარიკმახეროების პატრონნი მართლა ცდილობენ დაუმტკიცონ ყველას, რომ „ჭკუა ისწავლეს“! არა გჯერათ? აი მაგალითი: დღევანდლამდე ფასებს უმატებდნენ, ასე ვსთქვათ, შინაურულად, დღეს დარწმუნებულან, რომ ფასების მომატება მიუღებელია და დაუდგენიათ იმოქმედონ ოფიციალურად! „ჭკუა ნასწავლ“ ხალხს მოუფიქრებია საგრძნობლად მომატება ფასებისა, ვინაიდან ფასების მომატებას და ისიც „ოფიციალურად“—დიდი „შრომა“ უნდა, დაუდგენიათ ამ „შრომაში“ მოიხმარიონ მომუშავენი! მათი წარმომადგენლები—ჩხაიძე და სხვები ერთ ერთ მათ სხდომაზედ, რომელსაც დაესწრენ კავშირის დავალებით თფ. პრ. კავშ. თავმჯდომარე ქახთარია და ამხ. ბედუკიძე მიმართავდნენ ასე: ჩვენ გვსურს ფასების მომატება, მხოლოდ... თქვენთან შეთანხმებითო და იმედია თქვენც წინააღმდეგ არ წახვალთ, რადგანაც ამით ე. ი. ფასების მომატებით მომუშავეთაც ემატება სამუშაო ხელფასიო!

არ გაუმართლდათ იმედი! კავშირის წარმომადგენლებმა განუცხადეს: „თქვენ ცდას ყოველივე დასაშვები საშვალებებით შევებრძოლებითო“! ღირსეული პასუხია! მუშა-მოსამსახურენი თვით კი არ უმატებენ ფასებს, ებრძვიან ფასების მომატებას! მაგრამ ვაი რომ ამ დარგში ხშირად წინააღმდეგ მოვლენას აქვს ალაგი!? **რისხვა.**

**უმუშევართა ფონდი.** წინასწარი ანგარიშით უმუშევართა სასარგებლოთ შრომის ბირჟას შეუკრებია 80,000 მან. რადგანაც ეს თანხა უმუშევართათვის უფასო სასადილოს მოსაწყობად არ კმარა, ამიტომ შრომის ბირჟამ გადასწყვიტა რამდენიმე წარმოდგენა-კონცერტი გამართოს. შრომის ბირჟის აზრით რაიმე წარმოების დაწყება, სადაც საქმეს უშოვნიან უმუშევართ, შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც უმუშევართა ფონდი 400—500 ათას მანეთს მიაღწევს. ახლა შრომის ბირჟასთან არის შესაკინძი, კოლოფის და კონვერტების სახელოსნოები. ამ სახელოსნოებში ყოველ დღე სამუშაო აქვს 10 უმუშევარს.

**ცენტრალურ მუშათა კლუბის გამგეობამ** შეადგინა მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ 1918—1920 წლამდე. ამ მოხსენების მიხედვით 1918 წელში სეზონი უდრიდა 5 თვეს, 1919 კი 11 თვეს. ამ ხნის განმავლობაში მოეწყო წარმოდგენა: ქართულ ენაზე 64, რუსულზე—66, სომხურზე—29, სამუსიკო საღამო 31, კონცერტი 27, სალიტერატურო საღამოები 19, კინემატოგრაფის სეანსი 47 და ლექცია—47. მატერიალურ სივიწროვის გამო კლუბის მუშაობა მძიმე პირობებში მიმდინარეობდა.

**ცენტრალური მუშათა კლუბი.** გამგეობის უკანასკნელ სხდომაზედ გადაწყდა 19 ამ თვეს გაიხსნას საზაფხულო ბინა. არჩეულ იქნა ცალკე კომისია, რომელმაც ამ საღამოსათვის უნდა შეიმუშაოს პროგრამა. ბალის გახსნა მოხდება დიდის ზეიმით და პროგრამით.

## პროვინცია

**ხაბუმის თემი** (ზუგდ. მაზ.). ხაბუმის თემი მდებარეობს სენაკ-მუხურის გზაზე, [illegible] პატარა, მაგრამ ძლიერ ლამაზი დ. „ხაბუმე“, მისი გეოგრაფიული მდგომარეობა ყოველი ბუნების შვილთ სიამოვნებას მოჰგვრის ხოლმე: სწორ გაშლილ ვაკეზე 70—80 ქვითკირის სავაჭრო დუქნები და რამოდენიმე ორ-ორ სართულიანი მაღალი სახლები, შუა ბაზარზე გადის სენაკ-მუხურის ფართო გზა, რომელიც აკავშირებს ამ დაბასთან გარშემო მდებარე თემების და აგრეთვე ბუნების სიუხვით მდიდარი მთებთან „თეთრი მთა“, „ლუგელა“, „დვირა“ და სხვ. იქვე ახლოს დასავლეთით ჩაუვლის კარგა მოზრდილი მდ. ხობის წყალი, სადაც ომამდე განზრახული იყო ელექტრონის ძალის სადგურის მოწყობა. დაბის უკანა ხაზზე გადმოყვანილია ხობის წყლის შტო, რომელზედაც მუშაობს სამ თვალიანი წყლის წისქვილი. მაზრის ბოლოზე არის ბუნებრივი წყარო.

აქ წელიწადში ერთხელ იმართება ორ-კვირეული დიდი ბაზრობა, რისთვისაც გაშენებულია ზომით 2 ქცევის სიფართეზე ქვიტკირის მაღალი ეზო (გალავანი). აქ მრავალ თემებს გამოაქვთ თავიანთი ნაწარმოები და დიდ-ძალი შინაური საქონელი. დაბა-ქალაქებიდან ჩამოდიან მოვაჭრეებიც. მიუხედავათ მსოფლიო ომის მიერ გამოწვეული სურსათ-სანოვაგის კრიზისისა, აქ დღესაც ძველი წარსული მოგაგონდებათ ადამიანს.

კულტურულის მხრით დიდი ხანია ამ დაბას გამოფხიზლება ეტყობა, რაც გამოიხატება შემდეგში: 6 წელზე მეტია, რაც აქ არსებობს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომელსაც დღეს მიემატა ტელეფონი რვა საზოგადოებისათვის.

1917 წლის რევოლიუციამდე აქ არსებობდა წვრილი კრედიტის ამხანაგობა. დღესაც მისი ინვენტარი, კასა და სხვა, დიდ ღირებულებას წარმოადგენს და თვით ფულები კი, „ალაჰმა უწყის“, ვის საკუთრებას შეადგენს. აღნიშნული ინვენტარი კი ჯერ-ჯერობით ადგილობრივი კოოპერატივის განკარგულებაშია.

დ. ხაბუმის სახელზე ა. წ. პირველ იანვრიდან მთავრობის ნებართვით გაიხსნა პირველ დაწყებითი შერეული ტიპის უმაღლესი სასწავლებელი. ხსენებულ სასწავლებლის ყოველივე ხარჯებს ჯერ-ჯერობით თვით თემი კისრულობს. ამ სასწავლებლის გამგეთ არის უმაღლეს კურს დამთავრებული ბ-ნი ს. გახარია. მას ჰყავს ბეჯითი და შრომის მოყვარული მასწავლებლები, რომელნიც გაორკეცებულ შრომას ეწევიან ჩვენი მიყრუებული კუთხის გამოსაღვიძებლათ.

ხაბუმის თემში არსებობს 5 დაბალ დაწყებითი სკოლა, სადაც 300—250 მოწაფე სწავლობს.

კოოპერატივი, როგორც სხვაგან, აქაც მოიკოჭლებს, რაც აიხსნება წევრების გულგრილობით. არც ინიციატორებს გაგამოუჩენია დიდი ენერგია ამ საქმეში.

წელიწადი მალე შესრულდება, რაც აქ დამტკიცებულია საექიმო პუნქტი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ექიმი არა გვყავს, არის მხოლოდ ფერშალი უფასოდ, რომელმაც დიდი ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებაში.

არ შემიძლიან ერთ გარემოებაზე არ შევაჩერო პატივცემულ მკითხველის ყურადღება. ნათქვამია: „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოვო“, სწორეთ ეს ჩვენზე ითქმის, ეს შეეხება დ. ხაბუმის აფთიაქს. ხსენებული აფთიაქის შესახებ შეიძლება ასე ითქვას: ის წარმოადგენს ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მისი გამგე კი უპასუხისმგებლო მეფეს, რომლის მოქმედება ყოველშემთხვევაში განუსაზღვრელია. როგორც ძველი მთავრობის დროს, ეხლაც მას კონტროლს არავინ უკეთებს. დღეს ყველა სპეკულიანტია, მეაფთიაქეს სპეკულიანტობა ცოდვათ ხომ არ ჩაეთვლება! აფთიაქში წყალს უფრო იშოვნით, წამალს კი ვერა. მართალია მედიკამენტებით მდიდარი უცხოელი სახელმწიფოები დღეს დეცარიელდნენ, მაგრამ ბუნებრივი წყალი მაინც უფასო გვაქვს, ამაში რაღა მეაფთიაქე გვჭირია. თუ დროზე არ იქნა ყურადღება მიქცეული ვისგანაც ჯერ არს, ვინ იცის ბოლოს ამ უპასუხისმგებლო აფთიაქიდან რა ჯურის სავაჭრო გამოვა.

სასურველი იქნებოდა ამ უპატრონო კუთხისათვის თვით სამაზრო ერობა გახსნიდეს ერობის აფთიაქს, რომელიც მისწრება იქნება ჩვენი ხალხისთვის.

ხაბუმეშივე არის საagრონომიო პუნქტი, რომელშიაც არის დანიშნული ერთი უმცროსი ინსტრუქტორი. მის განკარგულებაში შედის ოთხი თემი: მუხური, ნაპიჩხოუ, ჭოლა და თვით ხაბუმე. მაგრამ მაზრისათვის ამას არავითარი ღირებულება არა აქვს, ვინაიდან სიტყვა ქაღალდზე დარჩა და თვით მეურნეობაში კი არაფერი გაკეთებულა. ამას წინეთ ათ-ათი ფუთი კარტოფილი ჩამოიტანა თემებისათვის ინსტრუქტორმა კუკუამ. მას ჰქონდა მაზრის ერობისაგან დაკისრებული საჩვენებელი მინდვრების მოწყობა, მაგრამ აქაიქ დაფანტა და თვითონ განშორდა არემარეს.

ჩვენი გლეხობა მეურნეობის საქმეში ძალიან ჩამორჩენილია და ამას მაზრის ერობამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს, თორემ ეკონომიურათ დაცემული გლეხობა სახელმწიფოსთვის არავითარ ღირებულებას ვერ შექმნის.

ქურდობა ავაზაკობას მაინცა და მაინც დიდი ადგილი არ აქვს, აქა-იქ შეხვდებით მექრთამეობას.

დემოკრატიულმა წყობილებამ მოგვცა დემოკრატიული კანონები, ხალხი კი ჯერ კიდევ ვერ გამოსულა მთლიანათ სიბნელიდან. ამიტომ ხშირათ ხდება, რომ თუ მოხელე ახალი კანონის თანახმად სამართლიანათ მოიქცა, ხალხი ხშირათ მის სიფაქიზეს ვერ აწონ-დაწონის და აქაც მექრთამეობა მოეჩვენება.

ინტელიგენტთა რიცხვი მცირეა. ადგილობრივი ვაჭრები დიდ დახმარებას უწევენ ყოველ ახალ დაწყებულ საქმეს, რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან.

ადგილობრივი თემის გამგეობას აუარებელი საქმეები აქვს გასაკეთებელი და დიდი სიფრთხილე სჭირიათ ყველა ამაებს, რომ დროზე გასცეს პასუხი. უმთავრეს საზრუნავს შეადგენს სათემო გზები და აქეთ უნდა იქნეს მთავარი ყურადღება მიქცეული გამგეობის მხრივ.

თემის მცხოვრებნი სახელმწიფო მოთხოვნილებების ასრულებაში ცოტათ მოიკოჭლებენ, რაც მიეწერება თემის გამგეობის „დათმობის პოლიტიკას.“ აგერ მესამე წელიწადია, რაც მცხოვრებნი გადაეჩვიენ სახელმწიფო მოთხოვნილებების გადახდას. ჩვენი გლეხობის მსოფლმხედველობა თავიანთ ეზოს ანგარიშებია. მან საქმაოთ არ იცის სახელმწიფოს არსებობის მნიშვნელობა, ვინაიდან ის მეფის მთავრობის დროს თავის ბედიღბალზე თითონ არ ზრუნავდა და ეხლაც თითქოს ასე ჰგონია.

მშრომელი მასა რუსეთიდან ზავის შეკვრას და ჩვენი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გარკვეულათ აფასებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გამონაკლისი ნაძირალების მცირე „კომპანიას!“

**ერასტო კაჭარავა.**


# განცხადებანი

## დაკარგე მოწმობა

იუსტიციის სამინისტროს ათასეულის მუზიკანტის ჯგუფის **ილია ადეიშვილმა** რომელიც ჩაითვლება გაუქმებულათ. (1886 1—1)

ბათუმიდან ნატანებამდის № 8 მატარებელში **დავკარგე** დოკუმენტები: სამხედრო სამსახურის თავისუფლების მოწმობა მაღებული ყვირილის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პასპორტი საქარის კომისარის მიერ მოცემული, პირადობის მოწმობა ბათუმის დეპოში მიღებული. ვთხოვ მნახველს გამომიგზავნოს ბათუმში: დეპო, რაშიაც მიიღებს საჩუქაუს. **დავით იუსტინეს ძე ქათამაძეს.** (1880 1—1)

## დავკარგე

მოწმობა № 198 მოცემული თფ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სამმართველოდან. ვაცხადებ გაუქმებრლათ. (1881 1—1) **მიხეილ ცაგარეიშვილი.**

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ე ქ ი მ ი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ე ქ ი მ ი

**ბ. ი. ოქროპირიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **ივ. გოკერია**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საავადმყოფო... შერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 1—97. (1835—თ.)

დ ო ქ ტ ო რ ი

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა—[illegible] ლისა. იღებს ახალს რენტგენ-[illegible] კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ე ქ ი მ ი

**პ. ნ. ვართანოვი**

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ე ქ ი მ ი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ე ქ ი მ ი

**გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი**

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს., საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ე ქ ი მ ი

**ნ. ლ. ტურიაშვილი**

იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ე ქ ი მ ი

**ა. ლევენშტეინი**

შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ო ზ უ რ გ ე თ შ ი

ექიმი **აბაშიძე**

ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჭლექის აქიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. კ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 396.)

ე ქ ი მ ი

**ნიკოლოზ მახვილაძე**

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამათი ოლღის ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **მ. გოლშტეინი**

**თვალით ავათმყოფი** (სათვაალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ე ქ ი მ ი

**სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი**

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ე ქ ი მ ი

**ე. მ. მძინარიშვილი**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. № 22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ე ქ ი მ ი

**ნ. მ. გაჩეჩილაძე**

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)

## მიწათ-მოქმედების სამინისტრომ

გახსნა რუსთაველის პრ, № 24 სახელმწიფო ღვინის თფილისის სარდაფის განყოფილება, სადაც იყიდება ყოველნაირი სახელმწიფო ღვინოები. (1882—3—1)

## განცხადება

თფილისის სახალხო მომღერალ-მგალობელთა საამხანაგო გუნდის გამგეობა ამით აცხადებს პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ აღნიშნული გუნდი

**მიხეილ კავსაძის**

ლოტბარობით იღებს მონაწილეობას როგორც ადგილობრივ აგრეთვე პროვინციაშიც ყოველ-გვარ წარმოდგენებში კონცერტებში, სალიტერატურო საღამოებში და სხ... აგრეთვე ასრულებს საეკლესიო გალობებსაც. როგორც გუნდში ჩაწერა აგრეთვე ყოველგვარ ცნობების მიღება გუნდის გაწვევის შესახებ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ გამგეობის მდივან თედო თურქაძესთან, მისამართი: სახელმწიფო კანტროლი გრიბოედოვის ქ. № 19 დილის 10—1 საათამდის

**გუნდის გამგეობა.** (1865—2—2)


საკუთარი სტამბა, წერეთლის ქუჩა № 4.